პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო
КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან ● № 196 (14800)

23 აგვისტო
კვირა
1970
ფასი 2 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სკკპ XXIV ყრილობის, საბჭოთა საქართველოსა და საქართველოს კომუნისტური პარტიის 50 წლისთავის შესახვედრად

ხუთწლედი შესრულებულია

ჭიათურა. (საქ. კორ.). ქართველმა მაღაროელებმა, რომლებიც უკრაინელ თანამოსაქმეებს ეჯიბრებიან, ახალი გამარჯვება მოიპოვეს. ლენინის ორდენოსანმა მარგანეცის ტრესტის კოლექტივმა 13 აგვისტოს შეასრულა სასაქონლო პროდუქციის დამზადების მერვე ხუთწლიანი გეგმა — სამშობლოს მისცა 9.289 ათასი ტონა მარგანეცი, შრომის ნაყოფიერება გაზარდა 5 პროცენტით. მაღაროელმა რაციონალიზატორებმა 3 მილიონი მანეთის ნაცვლად ხუთწლედის ფონდში შეიტანეს 5 მილიონამდე მანეთი.

მარტო წელს პროდუქციის თვითღირებულების შემცირებით დაზოგილია 531 ათასი მანეთი, რეალიზაციით მოგებამ 7.073 ათასი მანეთი შეადგინა, საიდანაც 1.236 ათასი მანეთი ზეგეგმითია.

დიდი ხანია მომავალი ხუთწლედის ანგარიშში მუშაობენ კალინინისა და ორჯონიკიძის სახელობის მაღაროების, ცენტრალური დამყვანი ფაბრიკის კოლექტივები.

მაღაროელები ხუთწლიანი გეგმის გადამეტებით ქვეყანას მისცემენ 8 მილიონი მანეთის პროდუქციას, ღირსეულად შეხვდებიან პარტიის XXIV ყრილობას, საბჭოთა საქართველოს იუბილეს.

ზეგეგმითი პროდუქცია, მოგება

თბილისის თამბაქოს № 1 ქარხნის (დირექტორი გ. ყანჩელი) კოლექტივი წარმატებით ეწევა სკკპ XXIV ყრილობის, საბჭოთა საქართველოსა და საქართველოს კომპარტიის 50 წლისთავის აღსანიშნავ შრომით ვახტს. მეპაპიროსეებმა შვიდი თვის გეგმა ყველა მაჩვენებლის მიხედვით გადაჭარბებით შეასრულეს. პროდუქციის რეალიზაციის დავალებას 258 ათასი მანეთით გადააჭარბეს, შრომის ნაყოფიერება 1,2 პროცენტით აამაღლეს, გამოშვებული პროდუქციის თვითღირებულება 16 ათასი მანეთით შეამცირეს, მიიღეს 18 ათასი მანეთი ზეგეგმითი მოგება.

ფაბრიკაში დიდ ყურადღებას აქცევენ ახალი ტექნიკის დანერგვას. აქ დადგეს და გამოცდას გადის ფილტრიანი სიგარეტის შემაერთებელი მანქანა, რომელიც მალე მწყობრში ჩადგება. უახლოეს პერიოდში დამონტაჟდება და საექსპლოატაციოდ გადაეცემა თამბაქოს მექანიკური დამნამავი მანქანა.

შრომის მისაბაძ მაგალითებს იძლევიან თამბაქოს დამხარისხებელი ლ. მახარაშვილი, თ. ფანცულაია, ო. ვენეცკაია, თამბაქოს მჭრელები ე. ელერზაშვილი, ნ. ბორსკაია, პაპიროსის დამტენი მექანიკოსები გ. ნიჟარაძე და შ. ვაშაკიძე, მემანქანე-დამრეგულირებლები მ. ნუმაშვილი, შ. სავანელი.

მეშუშეები პირობას ანაღდებენ

ხაშური. (საქ. კორ.). სურამის მინის ტარის ქარხანა წარმატებით ეწევა სკკპ XXIV ყრილობის, საბჭოთა საქართველოსა და საქართველოს კომუნისტური პარტიის 50 წლისთავის აღსანიშნავ შრომით ვახტს. მეშუშეებმა შვიდი თვის ბოთლის გამოშვების გეგმა 109,1 პროცენტით შეასრულეს, ხოლო რეალიზაციისა — 100 პროცენტით. შრომაში დაწინაურდნენ სადუმელე-სამანქანე საამქროს მესამე ცვლა, რომელსაც ვ. კახეთელიძე ხელმძღვანელობს, მანქანის გამწყობი მ. ბლიაძე, მემანქანეები გ. ქუფარაშვილი, რ. ბერიძე.

მშვიდობისათვის ბრძოლის ავანგარდში

ПРАВДА
22 აგვისტოს მოწინავე

ხალხთა უშიშროებისათვის, საყოველთაო მშვიდობის განმტკიცებისათვის ბრძოლაში საბჭოთა კავშირი მოძმე სოციალისტურ ქვეყნებთან ერთად მუდამ გამოდიოდა და გამოდის მოწინავე მიჯნებზე. ახალი მსოფლიო ომის საფრთხის თავიდან აცილება და სხვადასხვა საზოგადოებრივი წყობილების სახელმწიფოთა შორის მშვიდობიანი ურთიერთობის განვითარება, სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში აგრესიის კერების უსწრაფესი ლიკვიდაცია და ახლო აღმოსავლეთში კონფლიქტის მშვიდობიანი მოწესრიგება, ევროპაში ვითარების ნორმალიზაცია — მოძმე სოციალისტური ქვეყნების საგარეო პოლიტიკის ეს მიზნები შეესაბამება სხვა სახელმწიფოთა ძირეულ ინტერესებსაც, ხალხთა ყველაზე მხურვალე მისწრაფებებს. სოციალიზმის ქვეყნები აქტიურად იბრძვიან ამ მიზნების მისაღწევად, შთააგონებენ და აკავშირებენ პროგრესისა და მშვიდობის მთელ ძალებს.

ომისშემდგომი განვითარების პრაქტიკა უდავოდ გვიჩვენებს, რომ სოციალისტურ ქვეყნებს შორის ძმური ურთიერთობის განმტკიცება, ყოველმხრივი თანამშრომლობა ჩვენს კონტინენტზე მშვიდობისა და უშიშროების უზრუნველყოფის საწინდარია. სოციალისტურ ქვეყნებს შორის ურთიერთობაში უკვე კარგ ტრადიციად იქცა სოციალიზმისა და კომუნიზმის მშენებლობის, საგარეო პოლიტიკის დიდმნიშვნელოვანი საკითხების ერთობლივი განხილვა. ასეთი ურთიერთობისა და თანამშრომლობის ახალი კონკრეტული გამოვლინებაა 20 აგვისტოს მოსკოვში გამართული ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოთა პოლიტიკური საკონსულტაციო კომიტეტის სხდომა.

სხდომის მონაწილეებმა განიხილეს აქტუალური საერთაშორისო პრობლემები. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო თანამედროვე მდგომარეობას ევროპაში. საერთო აზრით, იგი დიდ გავლენას ახდენს მთლიანად მსოფლიო ვითარებაზე. ევროპის კონტინენტზე და მთელ მსოფლიოშიც დიდი ყურადღებით შეხვდნენ სსრ კავშირსა და გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკას შორის მოლაპარაკებას და 12 აგვისტოს მოსკოვში ხელშეკრულების ხელმოწერას. ეს ხელშეკრულება, რომელიც მოამზადა ევროპის ომისშემდგომი სინამდვილის მთელმა განვითარებამ, საერთაშორისო ურთიერთობის ბუნებრივმა მსვლელობამ, შეესაბამება სოციალისტური ქვეყნების საერთო კურსს, რომლის მიზანია ევროპაში პოლიტიკური კლიმატის გაჯანსაღება და ჩვენს კონტინენტზე უშიშროების საიმედო საყრდენების შექმნა. იგი შეესაბამება მშვიდობის ხანგრძლივ ინტერესებს.

ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოთა პოლიტიკურმა საკონსულტაციო კომიტეტმა აღნიშნა, რომ სსრ კავშირსა და გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკას შორის მოლაპარაკება და ხელშეკრულების დადება დიდმნიშვნელოვანი ნაბიჯია ევროპაში დაძაბულობის შენელებისა და ვითარების ნორმალიზაციის გზაზე. ეს აქტი შეესაბამება ყველა ხალხის ინტერესებს, ხელს შეუწყობს მშვიდობიანი თანაარსებობის პრინციპების საფუძველზე ევროპის ყველა ქვეყანას შორის აქტიური სახელმწიფოთაშორისი ურთიერთობის განვითარების საქმეს.

მოძმე სოციალისტურმა ქვეყნებმა მოსკოვის შეხვედრაზე კვლავ განაცხადეს, რომ „მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი განახორციელონ მათგან დამოკიდებული შემდგომი ღონისძიებანი ევროპის უშიშროების განსამტკიცებლად, კერძოდ, სხვა დაინტერესებულ ქვეყნებთან ერთად, აქტიური ღონისძიებანი განახორციელონ ახლო მომავალში სრულიად ევროპის თათბირის მოწვევის შესახებ წინადადების რეალიზაციისათვის, რომელსაც სულ უფრო ფართოდ უჭერენ მხარს".

სოციალიზმის ქვეყნები გახდნენ თათბირის მოწვევის ინიციატორები, რომელმაც უნდა განიხილოს პრაქტიკული ნაბიჯები ევროპის გადაქცევისათვის მტკიცე მშვიდობის კონტინენტად. ეს აქტუალური ამოცანაა, რომლის გადაწყვეტით დაინტერესებულია ევროპის ყველა ხალხი. უდავოა აგრეთვე, რომ ასეთი თათბირის მოწვევა უაღრესად დადებით გავლენას მოახდენს საერთაშორისო მდგომარეობაზე.

უახლოეს მომავალში სრულიად ევროპის თათბირის მოწვევის პირობები მომწიფდა. ჩვენი კონტინენტის ხალხებს, რომლებმაც გადაიტანეს ყველაზე სისხლისმღვრელი ომები, მტკიცედ სწამთ, რომ ჩვენი დროის ევროპის მშვიდობისა და აყვავებისათვის არ არის სხვა ალტერნატივა, სხვადასხვა საზოგადოებრივი წყობილების სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობის გარდა. მილიონობით და მილიონობით ადამიანი დარწმუნებულია, რომ ამასთან საჭიროა ხელმძღვანელობა ევროპაში არსებული რეალური მდგომარეობით, განუხრელად დაიცვან უკლებლივ ყველა სახელმწიფოს ტერიტორიული მთლიანობა მათს თანამედროვე საზღვრებში, არ წამოაყენონ არც აწმყოში, არც მომავალში არავითარი ტერიტორიული პრეტენზიები და ხელი შეუწყონ მშვიდობიანი ურთიერთობის განვითარებას. თუ ვიხელმძღვანელებთ მშვიდობის განმტკიცების ინტერესებით, ახლა არ არის არავითარი სერიოზული მიზეზი, რომ გადაიდოს სრულიად ევროპის თათბირის მოწვევა. ყოველგვარი „შენიშვნა" და „გაფრთხილება", რასაც გამოთქვამენ გარკვეული წრეები თათბირის თაობაზე, მხოლოდ დაბრკოლებებს ქმნის კეთილმეზობლობის გზაზე, ხელს უშლის მშვიდობიანი თანაარსებობის პრინციპების საფუძველზე ჩვენი კონტინენტის ქვეყნებს შორის ფართო ურთიერთხელსაყრელი თანამშრომლობის განვითარებას.

კაცობრიობის მშვიდობიანი აწმყოსა და მომავლისათვის მოძმე სოციალისტური ქვეყნების აქტიურ საქმიანობას სულ უფრო მეტად უჭერს მხარს მსოფლიოს ყველა ხალხი. ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოთა პოლიტიკური საკონსულტაციო კომიტეტის სხდომა, მისი შედეგები აღფრთოვანებით აღიქვეს სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნებში. სოციალისტური ქვეყნების ხალხებს თავიანთი ძმური კავშირის განვითარება და გაღრმავება, მშვიდობის შენარჩუნება და განმტკიცება მიაჩნიათ სოციალისტური და კომუნისტური მშენებლობის წარმატებათა, იმპერიალიზმის წინააღმდეგ, საყოველთაო უშიშროებისათვის, დემოკრატიისა და სოციალური პროგრესისათვის ბრძოლაში წარმატებათა დიდმნიშვნელოვან პირობად.

სოციალისტური თანამეგობრობა სულ უფრო აქტიურად ასრულებს მსოფლიო პროგრესის ავანგარდის, ანტიიმპერიალისტური ფრონტის ბირთვის როლს. თანამედროვე პირობებში კომუნისტთა უპირველესი ინტერნაციონალური მოვალეობაა გააძლიერონ ეს თანამეგობრობა პოლიტიკური, ეკონომიური და თავდაცვითი თვალსაზრისით, შეაკავშირონ მისი რიგები მარქსიზმ-ლენინიზმის პრინციპებზე.

მოსკოვის შეხვედრის შედეგებს კმაყოფილებით შეხვდა საბჭოთა ხალხი. იგი მთელ თავის ძალღონეს ახმარს კომუნისტური საზოგადოების მშენებლობის საქმეს და დიდად აფასებს მშვიდობას, მოძმე სოციალისტურ ქვეყნებთან, პროგრესისა და მშვიდობის მთელ ძალებთან ერთად, ლენინური პარტიის ხელმძღვანელობით აქტიურად და მიზანდასახულად იბრძვის დაძაბულობის შენელებისა და საერთაშორისო უშიშროების განმტკიცებისათვის. საბჭოთა კავშირს, ჩვენს სახელოვან კომუნისტურ პარტიას მაღლა უპყრავთ მშვიდობის სოციალისტური პოლიტიკის ლენინური დროშა, გულმოდგინედ იბრძვიან იმისათვის, რომ ხალხთა მისწრაფება მშვიდობისა და პროგრესისადმი აისახოს კონკრეტული საქმეებით, საჭირბოროტო საერთაშორისო პრობლემების გადაჭრით.



ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოთა პოლიტიკური საკონსულტაციო კომიტეტის სხდომა.

ფოტო ვ. ეგოროვისა და ა. სტუჟინისა (სატასი).

საბჭოთა აზერბაიჯანის ფოტომატიანე

ბაქო, 21 აგვისტო. (საქდეს). დღეს ილიჩის სახელობის კულტურის სასახლეში გაიხსნა მხატვრულ-დოკუმენტური ფოტოგრაფიის რესპუბლიკური გამოფენა, რომელიც ასახავს აზერბაიჯანის მიერ საბჭოთა ხელისუფლების 50 წლის მანძილზე განვლილ ბრძოლისა და გამარჯვებათა გზას.

20-30-იანი წლების ისტორიული ფოტოდოკუმენტები ასახავენ პირველ კომუნისტურ შაბათობებს ბაქოს სარეწებში, მენავთობეთა ბრძოლას პირველი ხუთწლედის ვადამდე შესრულებისათვის. აქვეა ფოტოსურათები — დღევანდელი აზერბაიჯანი — საზღვაო ნავთობსარეწების მძლავრი ქიმიური საწარმოებისა და ელექტროსადგურების, მექანიზებული სოფლის მეურნეობის, მაღალი კულტურის რესპუბლიკა.

ეძღვნება სახელოვან იუბილეს

ალმა-ატა, 21 აგვისტო. (საქდესი). ყაზახეთის სს რესპუბლიკისა და ყაზახეთის კომპარტიის 50 წლისთავს მიეძღვნა პარტიის ალმა-ატის საოლქო და საქალაქო კომიტეტების, მშრომელთა დეპუტატების საოლქო და საქალაქო საბჭოების საზეიმო სხდომა, რომელიც დღეს გაიმართა.

მოხსენება გააკეთა პარტიის საოლქო კომიტეტის პირველმა მდივანმა ა. ა. ასკაროვმა.

სხდომას დაესწრნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, ყაზახეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი დ. ა. კუნაევი, ყაზახეთის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ს. ბ. ნიაზბეკოვი, ყაზახეთის სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ბ. ა. აშიმოვი.

სხდომის მონაწილეებმა მიიღეს მისასალმებელი წერილი სკკპ ცენტრალური კომიტეტისადმი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსადმი.

◆

მიფრინავს „კოსმოს-359"

1970 წლის 22 აგვისტოს საბჭოთა კავშირში გაუშვეს დედამიწის მორიგი ხელოვნური თანამგზავრი „კოსმოს-359". თანამგზავრზე დადგმული სამეცნიერო აპარატურა განაგრძობს კოსმოსური სივრცის კვლევას. (საქდესი).

ჩვენი დიდი სამშობლო

ივრისპირეთის ხარაჩოები

თიანეთი. (საქ. კორ.). ნაყოფიერად შრომობს თიანეთის საკოლმეურნეობათაშორისო სამშენებლო ორგანიზაციის საბჭო. რაიონში იშვიათია ისეთი კოლმეურნეობა ან სოფელი, სადაც ეს ორგანიზაცია რამეს არ აშენებდეს. თავის დროზე დამთავრდა ისეთი მნიშვნელოვანი ობიექტების აგება, როგორიც არის მარცვლეულის საწყობი სიმონიანთხევში, ლორების სასუქი პუნქტი და ელექტრომექანიზებული წისქვილი თიანეთში, იარაღ-მანქანების შესანახი ფარდული გორანაში, ხელოვნური დათესვლის პუნქტები ახალსოფელსა და არტანში.

მალე დამთავრდება წყალსადენების გაყვანა სიმონიანთხევში, ტუშურებსა და ახალსოფელში.

მშენებლობის დაჩქარებას და გაიაფებას თიანეთელი მშენებლები აღწევენ ადგილობრივი საშენი მასალების გამოყენებით, „საკოლმშენს" აქვს საკუთარი საწარმოო ობიექტები, როგორიც არის სადურგლო სახელოსნო, აქვეთ რკინაბეტონის სხვადასხვა კონსტრუქციების გამოსაშვები საწარმო, მალე მწყობრში ჩადგება აგურის ქარხანა.

ახლოა სასწავლო წელი, როგორ ხვდებით?

მომზადებული ვართ

ხობის რაიონში დროულად დაიწყო მზადება 1970-1971 სასწავლო წლისათვის. საქართველოს კპ ხობის რაიკომმა განათლების განყოფილებასთან ერთად ამ მხრივ სათანადო ღონისძიებები განახორციელა. მალე ხამისქურის ჟდანოვის სახელობის კოლმეურნეობა ახალ შენობას გადასცემს საჭირიოს 8-წლიან სკოლას; ახალი ხიბულის კიროვის სახელობის კოლმეურნეობამ ააშენა გაშფერდის სკოლა. მშენებლობის პროცესშია ქარიატისა და ნოჯიხევის საშუალო სკოლების შენობები. სოფელ ხეთაში შენდება 140 ბავშვისათვის განკუთვნილი საბავშვო ბაღი. მთელი რიგი სკოლების შენობები კაპიტალურად შეკეთდა. მოსწავლეებმა შეიძინეს სახელმძღვანელოები.

ახალ სასწავლო წელს სკოლები მომზადებული ხვდებიან.

ო. სახეიშვილი,
ხობის პირველი საშუალო სკოლის მასწავლებელი.

ელიან ბინადართ

ახალი სასწავლო წლისათვის სუფთად და ლამაზად გამოიყურება ფლევის, გომისა და წრომის საშუალო სკოლების (დირექტორები რ. ბუხრიკიძე, გ. ნოზაძე, ალ. თედიაშვილი) შენობები, ეზო-გარემო. აქ მიმდინარე რემონტი კარგა ხანია დამთავრდა. მაღალხარისხოვნად შეკეთებული და შეღებილია სასკოლო შენობებში საკლასო ოთახები, მაგიდები, მერხები, სკამები და სხვა სასკოლო ინვენტარი. აღრიცხეს პირველ კლასში მისაღები ბავშვები, მოაწესრიგეს მათი პირადი საქმეები. დაკომპლექტებულია კლასები, დამტკიცებული არიან მათი ხელმძღვანელები.

სკოლების მესვეურთ არც ზამთარი გამორჩენიათ მხედველობიდან. უკვე მოიმარაგეს საჭირო სათბობი.

ს. ხეთაგური,
ხაშურის რაიონი.

დროულად იზრუნეს

ზუგდიდის რაიონის რუხის საშუალო სკოლის დირექცია (დირექტორი გ. ნაჭყებია) დროულად შეუდგა მზადებას ახალი სასწავლო წლისათვის. ჩქარი ტემპით მიმდინარეობს სკოლის ეზოს, სპორტული მოედნის, კაბინეტ-ლაბორატორიების წესრიგში მოყვანა.

სასწავლო სახელოსნო და კაბინეტ-ლაბორატორიები შევსებულ იქნა 300 მანეთის ხელსაწყოებით, შეძენილია 450 მანეთის მერხები, მაგიდები და სხვა ინვენტარი. შეიძინეს სანძარსაწინააღმდეგო საშუალებანი.

შეივსო პირველ კლასში ჩასარიცხ მოსწავლეთა კონტინგენტი, მასწავლებელთა ერთმა ჯგუფმა გაიარა დახელოვნების კურსები. სკოლის შენობის მიმდინარე რემონტისათვის იხარჯება 1700 მანეთი.

ზ. ალშიბაია.

სკოლა ელის მოსწავლეებს

ბოლნისი. (საქ. კორ.). კარგი საჩუქარი მიიღეს იმირასანელმა მოსწავლეებმა. სოფლის ცენტრში კოლმეურნეობის სახსრებით აშენდა ორსართულიანი სასკოლო შენობა. სკოლას აქვს ქიმიის, ფიზიკის და სხვა ლაბორატორიები, აგრეთვე სახელოსნოები. მალე სკოლის ტერიტორიაზე გაიხსნება ახალი სპორტდარბაზი.



კარგი საჩუქარი მიიღეს ლილოს დასახლების მოსწავლეებმა სასწავლო წლის დაწყების წინ. აქ მათთვის აშენდა სკოლის ახალი შენობა, რომელსაც აქვს კეთილმოწყობილი საკლასო ოთახები, კაბინეტები ლაბორატორიული მეცადინეობისათვის, სპორტული დარბაზი, ნორჩი ნატურალისტებისათვის სკოლის ეზოში გამოყოფილია ნაკვეთი.

სურათზე: თბილისის 107-ე საშუალო სკოლის შენობა ლილოს დასახლების ტერიტორიაზე.

ფოტო შ. ჩხეტიანისა.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს ჯანმრთელობის დაცვის, ფიზიკური კულტურისა და სოცუზრუნველყოფის მუდმივ კომისიაში

გაიმართა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს ჯანმრთელობის დაცვის, ფიზიკური კულტურისა და სოცუზრუნველყოფის მუდმივი კომისიის სხდომა, რომელმაც მოისმინა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის თავმჯდომარის მოადგილის ლ. ხანაძის მოხსენება იმის თაობაზე, თუ როგორ სრულდება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1969 წლის 12 ივნისის დადგენილება „რესპუბლიკაში ფიზკულტურულ-მასობრივი და სპორტული მუშაობის მდგომარეობისა და მისი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ". სხდომაზე აღინიშნა, რომ საქართველოს ფიზკულტურულმა და სპორტულმა ორგანიზაციებმა ბევრი რამ გააკეთეს ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელი და სპორტული მუშაობის განვითარებისათვის.

შარშან ფიზკულტურელთა რიცხვი 13.472-ით გაიზარდა და ახლა შეადგენს 1.147.645-ს, ანუ მთელი მოსახლეობის 24,3 პროცენტს.

საანგარიშო პერიოდში მასობრივ-ფიზიკური კულტურის განვითარებისა და სპორტული ოსტატობის ამაღლებისათვის ნაყოფიერ მუშაობას ეწეოდნენ თბილისის, ქუთაისის, რუსთავის, ფოთის, გორის, სამტრედიის, მახარაძის, ზუგდიდის, ვანის, ხაშურის, ორჯონიკიძის, თელავის, წყალტუბოსა და სხვა რაიონების ფიზკულტურულ-სპორტული ორგანიზაციები. კარგადაა დაყენებული საწარმოო ტანვარჯიში თბილისის ორჯონიკიძის სახელობის მანქანათსაშენებელ ქარხანაში, № 1 ფეხსაცმლის ფაბრიკაში, №1 და № 6 სამკერვალო ფაბრიკებში, ქუთაისის აბრეშუმის კომბინატში, რუსთავის მეტალურგიულ ქარხანაში, ბათუმის № 5 სამკერვალო ფაბრიკასა და სხვა საწარმოებში.

დიდი მუშაობა წარმოებს გამაჯანსაღებელ ჯგუფებში, რომლებშიც მონაწილეობს მოსახლეობა („გაზაფხულის" და „დილას" კლუბები თბილისში, „რიონის" კლუბი ქუთაისში).

მარტო 1969 წელს ქართველმა სპორტსმენებმა საერთაშორისო და სრულიად საკავშირო სპორტულ შეჯიბრებებზე მოიპოვეს 71 ოქროს, 46 ვერცხლისა და 40 ბრინჯაოს მედალი.

ამასთანავე მუდმივი კომისიის სხდომაზე აღინიშნა, რომ საქართველოს ფიზკულტურულ-სპორტულ ორგანიზაციებს ჯერ კიდევ აქვთ გარკვეული ნაკლოვანებანი ფიზიკური კულტურისა და სპორტის განვითარების საქმეში.

ჩამორჩება ისეთ სახეობათა სპორტი, როგორიცაა მძლეოსნობა, ცურვა, ტანვარჯიში, კრივი, ნიჩბოსნობა, ფრენბურთი, ველოსპორტი და სხვ. სპორტული საზოგადოებანი ჯეროვან აქტივობას არ იჩენენ მათი შემდგომი განვითარებისათვის. საკმარისად არ ეწყობა შეჯიბრებანი ნიჩბოსნობაში, ფიგურულ ციგურაობაში, კრივში, სათხილამურო და საცხენოსნო სპორტში, რაც უარყოფით გავლენას ახდენს ამ სახეობათა სპორტის განვითარებაზე.

სუსტად მუშაობენ თბილისისა და ქუთაისის ფრენბურთის, ქართული ჭიდაობის, წყალში ხტომის, ალპინიზმის ფეხბურთის, აკადემიური ნიჩბოსნობის, მხატვრული ტანვარჯიშის ფედერაციები. სპორტის შემდგომ განვითარებას რესპუბლიკაში მნიშვნელოვნად აბრკოლებს სპორტული ბაზების უქონლობა. ჭიანურდება თბილისის ველოტრეკის, მტკვრის საცურაო აუზისა და სხვა ობიექტების მშენებლობა.

ჯერ კიდევ არ ეწყობა კარგად სპორტული შეჯიბრებანი და ჩამოვრჩებით ფიზიკური კულტურისა და სპორტის პროპაგანდის საქმეში. იგრძნობა ფიზკულტურული კადრების ნაკლებობა რაიონების ბევრ ფიზკულტურულ ორგანიზაციაში, განსაკუთრებით სოფლად (ბორჯომის, მესტიის, ცხაკაიასა და სხვა რაიონები). ცხინვალის, ბოლნისის, ბორჯომის, დმანისის, ხობის რაიონების კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ხელმძღვანელები ჯეროვან ყურადღებას არ უთმობენ ფიზკულტურულ და სპორტულ მუშაობას.

რესპუბლიკის ჟურნალ-გაზეთები, რადიო და ტელევიზია საკმაოდ არ აშუქებენ ფიზიკური კულტურისა და სპორტის საკითხებს. მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოები, მათი მუდმივი კომისიები, დეპუტატები ჯეროვნად არ ზრუნავენ ფიზიკური კულტურისა და სპორტის განვითარებისათვის.

განხილული საკითხის გამო კამათში გამოვიდნენ მუდმივი კომისიის წევრები, დეპუტატები დ. ოსხელიანი, შ. შარტავა, საქართველოს სსრ განათლების მინისტრის მოადგილე ა. ბეროზაშვილი, საქართველოს ფიზიკური კულტურის ინსტიტუტის რექტორი ვ. სამსონაძე, ცეკავშირის განყოფილების გამგე ბ. გოგიშვილი და სხვები.

კომისიის მუშაობის შედეგები შეაჯამა მისმა თავმჯდომარემ ვ. გულბახიანმა.

განხილულ საკითხებზე კომისიამ მიიღო შესაბამისი დადგენილება. (საქდესი).

23 აგვისტო რუმინეთის განთავისუფლების დღეა

განთავისუფლების თანატოლი

ბუქარესტის ერთ განაპირა კუთხეში, დედაქალაქის სამრეწველო ზონის გადამკვეთი განიერი მაგისტრალის ბოლოში მდებარეობს 23 აგვისტოს სახელობის ქარხანა — რუმინეთის ერთ-ერთი უდიდესი მანქანათსამშენებლო საწარმო, მისი სახელწოდება სიმბოლურია — ეს თარიღი, ფაშისტური უღლისაგან ქვეყნის განთავისუფლების დღე, ოქროს ასოებით ჩაწერილია ჩვენი ხალხის ისტორიაში.

ამ ქარხნის ყოველი ნახვა რეპორტიორისათვის ფრიად საინტერესოა. აქ ვხედავთ, სიახლე როგორ იჩენს თავს ყოველ ნაბიჯზე, სწრაფად მატულობს ქვეყნის სოციალისტური ინდუსტრიალიზაციის ტემპები. სიხარულის გრძნობას გვინერგავენ წარმატებანი, რომლებსაც საწარმომ ტექნიკური პროგრესის დარგში მიაღწია. საწარმო სოციალიზმის მშენებლებს აწვდის კომპლექსურ მოწყობილობას, მათ შორის თბომავლებს, მძლავრ დიზელებს, ვაგონებს და სხვ.

ქარხანაში ძლიერი კოლექტივია, მრავალათასიანი ოჯახი ხელმარჯვე, შრომისმოყვარე, საკუთარი თავისადმი მომთხოვნელი ოსტატებისა. ეს არის დიდი ხნის საბრძოლო ტრადიციების მქონე კოლექტივი. მრავალი მისი წევრი რუმინეთის კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით იბრძოდა სამშობლოს განთავისუფლებისათვის. ქარხნის მშრომელები ახლაც სოციალიზმისათვის მებრძოლთა პირველ რიგებში არიან.

...შევდივარ ქარხანაში დილის ცვლასთან ერთად. ვაკვირდები ადამიანებს. სხვადასხვა პროფესიისა და ასაკისა არიან. არიან ვეტერანები, რომლებსაც განუცდიათ ჩაგვრა კაპიტალისტური ექსპლოატაციისაგან. პარტიის მოწოდებით მათ 1944 წლის აგვისტოში მოაწყეს შეიარაღებული აჯანყება, მონაწილეობდნენ ანტიფაშისტურ ბრძოლაში გმირ საბჭოთა მეომრებთან ერთად. სხვები ქარხანაში მოვიდნენ აღდგენის და პირველი ხუთწლედის წლებში. ბოლოს შეიძლება ვნახოთ ყველაზე ახალგაზრდებიც, ქარხნის „ბარტყები", დაბადებულნი და გაზრდილნი სოციალიზმის დროს, რომლებისთვისაც ვეტერანების ცხოვრება ისტორიის ფურცლებია. შთამბეჭდავი სურათია — სხვადასხვა თაობის წარმომადგენლები მხარდამხარ, ერთად მიდიან ახალი საზოგადოების მშენებლობის გზით.

ყოველთვის, ქარხანაში რომ მივდივარ, აქ ვხვდები ბევრ ახალგაზრდას, რომლებიც ამ ცოტა ხნის წინ შემატებიან შრომით კოლექტივს. ამ დღეებში, მაგალითად, გავიცანი იონ მუშატი, რომელზეც მინდა გიამბოთ.

თბომავლების საამქროში ვართ. მანქანების ახალი პარტია გამზადებულია გავიდეს ქარხნიდან. იმ მუშების ჯგუფში, რომლებიც საბოლოოდ ამოწმებენ ლოკომოტივის ავტომატურ დანადგარებს, ვხედავ ახალგაზრდა, მოძრავ ადამიანს. გარშემო მყოფნი მას დიდი ყურადღებით უსმენენ. გავეცანით ერთმანეთს. ვთხოვე იონ მუშატს ეამბნა თავის შესახებ. დაბადებულია 1944 წლის ზაფხულში. ქვეყნის თავისუფლების თანატოლია!

იონის მამას ოცდაათ წელზე მეტ ხანს უმუშავნია მიწის ქვეშ მარილის მაღაროებში. 1944 წელს შესულა კომპარტიის რიგებში, აქტიური მონაწილეობა მიუღია სოციალისტურ გარდაქმნათა განხორციელებაში. მოხუცისათვის სასიხარულო იყო ის დღე, როცა მისმა ვაჟმა ინჟინრის დიპლომი მიიღო: წინათ ხომ მის ოჯახში ამაზე ოცნებაც არავის შეეძლო.

თაობა, რომელსაც იონი ეკუთვნის და რომელიც ისტორიაში შევიდა როგორც „23 აგვისტოს თაობა", თავისი ზრდის დროს გრძნობდა სოციალიზმის სიკეთეს, პარტიისა და სახელმწიფოს მუდმივ ზრუნვას. მისთვის შექმნილი იყო სწავლისა და შრომის ისეთი პირობები, რომლებიც წარსულში წარმოუდგენელი იყო, მას ფართო გზა გაეხსნა თავისი უნარის გამოსავლინებლად. აბა იფიქრეთ: მეშახტის შვილის მიერ მიღებული განათლება უფასო იყო!

26 წლის იონი სულ ერთი წელია მუშაობს ქარხანაში, მაგრამ ამ ხნის განმავლობაში დიდი კვალიფიციური დახმარება მიიღო, სპეციალისტი გახდა.

— ვამაყობ იმით, — ამბობს ჩემი ახალი ნაცნობი, — რომ ასეთი სახელგანთქმული კოლექტივის წევრი ვარ. ძალიან მადლობელი ვარ ამხანაგებისა მხარდაჭერისათვის.

ღრმა შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე იმან, თუ რა სერიოზულად ეკიდებიან აქ შრომას, კომპეტენტურობა — აი ყოველდღიური ცხოვრების არსი. იგი წარმოშობს და აწრთობს პასუხისმგებლობის შეგნებას, იმის შეგნებას, რომ მე მოვალე ვარ საუკეთესოდ ვშრომობდე, რათა დავუბრუნო საზოგადოებას ჩემს მომზადებაზე დახარჯული სახსრები. ქარხანაში დიდი ნდობა გამიწიეს: მთელი საწარმოო სექტორი მანდეს.

მე შევამჩნიე: იონი მაღალი ხარისხის ნაკეთობებს, რომელთა წარმოებაში მას თავისი წვლილი შეაქვს, თითქოს თავის საკუთრებად თვლის. ეს არის თავისებური რეფლექსი სოციალისტური შეგნებისა, რაც პარტიამ აღზარდა და რასაც არაერთხელ შევხვედრივარ თანამედროვე ახალგაზრდობაში.

ინჟინერი მუშატი სიამაყით ჩამოთვლის თავისი საამქროს უკანასკნელ მიღწევებს: გამოშვებულია მძლავრი წნეხები ხისდამმუშავებელი მრეწველობისათვის, საბურღავი დანადგარები...

— ამ დღეებში რამდენიმე ასეთი დანადგარი გავუგზავნეთ საბჭოთა ამხანაგებს, — ამბობს იონი. — ვამაყობთ იმით, რომ ჩვენი ქარხანა მოწყობილობას უგზავნის სსრ კავშირს ორივე ქვეყნის ტექნიკურ-ეკონომიური თანამშრომლობის ფარგლებში. ყოველ ღონეს ვხმარობთ იმისათვის, რომ ეს ნაკეთობანი უაღრესად მაღალი ხარისხისა იყოს. ეს ჩვენი მატერიალური წვლილია ჩვენს ხალხებს შორის მეგობრობის ტრადიციული ურთიერთობის განუწყვეტელ განვითარებაში, სოციალისტურ სახელმწიფოთა ყოველმხრივი ნაყოფიერი თანამშრომლობის განმტკიცებაში.

ჩვეულებრივი ბიჭია, როგორიც ბევრი სხვაა... ერთ-ერთი იმათგანი, რომლებზეც რუმინეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ნიკოლაე ჩაუშესკუმ თქვა: „ყველაფერში, რაც უკანასკნელ წლებში განხორციელდა რუმინეთში კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით, ახალგაზრდათა შრომაც არის".

ეს არის შეფასება და მოწოდება. და ამ მოწოდებას „23 აგვისტოს თაობა" ეხმაურება, მთელ ხალხთან ერთად აგებს კომუნისტური მომავლის ნათელ შენობას.

მიხაი კარანფილი.
რუმინელი ჟურნალისტი,
(ახალი ამბების სააგენტო).
ბუქარესტი.
(ტელეგრაფით).

რუმინეთის სოციალისტური რესპუბლიკა. სურათებზე: ზემოთ — რუმინეთის ერთ-ერთი მსხვილი მანქანათსამშენებლო ქარხნის მუშები (მარცხნიდან მარჯვნივ) ფ. ბალტასუ, პ. იანუ და ჰ. ნისუ განიხილავენ მორიგი ელმავლის გამოცდის შედეგებს; მარჯვნივ — რუმინეთის სოციალისტური რესპუბლიკის დედაქალაქი ბუქარესტი. ახალი საცხოვრებელი სახლები ტიტანის რაიონში.

ფოტო აჯერპრეს-საქდესისა

მსოფლიო დღეს

მოძმე ქვეყნების დიპლომატთა თათბირი

ულან-ბატორი, 21 აგვისტო. (საქდესი). 19-დან 21 აგვისტომდე ულან-ბატორში გაიმართა ბელორუსიის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის, ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, კუბის რესპუბლიკის, მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის, რუმინეთის სოციალისტური რესპუბლიკის, საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის, უკრაინის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის, უნგრეთის სახალხო რესპუბლიკისა და ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროების ხელმძღვანელ წარმომადგენელთა თათბირი. თათბირზე განიხილეს საკითხები, რომლებიც შეეხებოდა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მომავალ XXV სესიას.

თათბირის მუშაობა მიმდინარეობდა ძმური თანამშრომლობისა და სრული ურთიერთგაგების ვითარებაში.

ოფიციალური ვიზიტი

ბუდაპეშტი, 21 აგვისტო (საქდესი). სუდანის დემოკრატიული რესპუბლიკის რევოლუციური საბჭოს თავმჯდომარის გენერალ-მაიორ ჯ. მ. ნიმეირის, ტანზანიის გაერთიანებული რესპუბლიკის პრეზიდენტის ჯულიუს კ. ნიერერესა და არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის პრეზიდენტის გ. ა. ნასერის მიწვევით დღეს უნგრეთის პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. ლოშონცი ოფიციალურ მეგობრულ ვიზიტად გაემგზავრა ამ სამ ქვეყანაში.

კოსმონავტთა პატივსაცემად

ლონდონი, 22 აგვისტო. (საქდესი). საერთაშორისო ასტრონომიული კავშირის XXIV კონგრესმა, რომელიც მიმდინარეობს ბრაიტონში, ექვს მთვარის კრატერს მიანიჭა საბჭოთა კოსმონავტების — ვ. ტერეშკოვას, ა. ნიკოლაევის, ა. ლეონოვის, გ. ტიტოვის, ვ. შატალოვისა და კ. ფეოქტისტოვის სახელები. იგივე პატივი ხვდათ წილად ამერიკელ კოსმონავტებს უ. ანდერსს, ფ. ბორმანს, ჯ. ლოველს, ე. ოლდრინს, ნ. არმსტრონგსა და მ. კოლინზს.

ისტორიული მატერიალიზმის სახელმძღვანელო

ნიუ-იორკი, 22 აგვისტო. (საქდესი). ამერიკის გამომცემლობა „ინტერნეშნლ პაბლიშერსი" უშვებს ახალ სახელმძღვანელოს ისტორიული მატერიალიზმის პრობლემებზე „სოციალურ ცვლილებათა დინამიკა: მარქსისტული სოციალური მეცნიერების სახელმძღვანელო".

ავტორები მარქსისტული პოზიციებიდან აშუქებენ საერთაშორისო მუშათა და კომუნისტური მოძრაობის პრობლემებს, სოციალისტური მშენებლობის პრაქტიკას სოციალიზმის გზაზე მდგარ ქვეყნებში.

განთავისუფლების კომიტეტმა დაამთავრა მუშაობა

ადის-აბება, 22 აგვისტო. (საქდესი). აფრიკის ქვეყნების ერთობის ორგანიზაციის განთავისუფლების კომიტეტის XVII სესია გამოთქვამს წუხილს იმის გამო, რომ ინგლისი აპირებს განუახლოს იარაღის მიყიდვა სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკას, და მოუწოდებს ინგლისს უარი თქვას ამ გეგმაზე. ეს ნათქვამია კომიტეტის სესიის საბოლოო სხდომაზე მიღებულ რეზოლუციაში.

განთავისუფლების კომიტეტის სესია ამასთან დაკავშირებით აფრიკის ქვეყნების ერთობის ორგანიზაციის მინისტრთა საბჭოს მომავალი სესიის მონაწილეებს ურჩევს, ნათქვამია რეზოლუციაში, შექმნან სპეციალური კომიტეტი, რომელიც თვალყურს ადევნებს ინგლისისა და სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის ურთიერთობის განვითარებას და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წინაშე დააყენებს საკითხს, რომ ზუსტად შეასრულონ მისი რეზოლუციები სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკასთან ვაჭრობის ემბარგოს შესახებ. ამასთან დაკავშირებით კომიტეტი, ხაზგასმულია რეზოლუციაში, გადაჭრით გმობს დასავლეთის იმ ქვეყნებს, კერძოდ გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკას, რომლებიც არღვევენ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოს მიერ მიღებულ რეზოლუციას და განაგრძობენ იარაღის მიყიდვას სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკისათვის.

განთავისუფლების კომიტეტმა აგრეთვე განიხილა და მოიწონა მოხსენება განვლილი ნახევარი წლის მანძილზე კომიტეტის საქმიანობის შესახებ. ამ მოხსენებას წარუდგენენ აფრიკის ქვეყნების ერთობის ორგანიზაციის მინისტრთა საბჭოს სესიას, რომელიც გაიხსნება აქვე 24 აგვისტოს.

ქიმიური იარაღის საფრთხის წინააღმდეგ

საბჭოთა კავშირის მშვიდობის დაცვის კომიტეტმა გამოაქვეყნა განცხადება, რომელშიც გამოთქვამს პროტესტს იმის გამო, რომ პენტაგონმა ატლანტის ოკეანის წყლებში ჩაძირა ნერვულ-პარალიზურგაზიანი ჭურჭლები, რაკეტები. ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო წრეებმა მთავრობის თანხმობით, აღნიშნულია განცხადებაში, განახორციელეს ოპერაცია, რომელსაც შეიძლება გაუთვალისწინებელი შედეგები მოჰყვეს კაცობრიობისათვის. ამასთან მათ უგულებელყვეს მსოფლიოს საზოგადოებრიობისა და სხვა ქვეყნების მთავრობათა პროტესტები.

განცხადებაში ხაზგასმულია, რომ ყველა ქვეყნის კეთილი ნების ადამიანებმა უნდა იბრძოლონ ქიმიური და ბაქტერიოლოგიური იარაღის წარმოების, შენახვისა და ტრანსპორტირების აკრძალვის შესახებ შეთანხმების დადებისათვის, აგრეთვე იმისათვის, რომ ყველა ქვეყანამ დაუყოვნებლივ მოაწეროს ხელი და ზუსტად დაიცვას ჟენევის 1925 წლის ოქმი, რომელიც კრძალავს მომწამვლელ ნივთიერებათა გამოყენებასა და ომის წარმოების ბაქტერიოლოგიურ საშუალებებს.

საბჭოთა კავშირის მშვიდობის მომხრეები, ნათქვამია დოკუმენტში, მხარს უჭერენ მსოფლიო საზოგადოებრიობის მოთხოვნას, რომელიც პროტესტს აცხადებს ქიმიურ იარაღთან პენტაგონის დანაშაულებრივი თამაშის წინააღმდეგ. (საქდესი).

დღესასწაულის აღსანიშნავად

ბუქარესტი, 21 აგვისტო. (საქდესი). რუმინეთის მშრომელები უპატაკებენ შრომით წარმატებებს ფაშისტური უღლისაგან რუმინეთის განთავისუფლების დღის აღსანიშნავად. ალბის მაზრის მეტალურგიულმა ქარხნებმა, მსუბუქი მრეწველობის საწარმოებმა შეასრულეს ხუთწლიანი გეგმა. გეგმის გადამეტებით წარმოებულია 200 მილიონი ლეის პროდუქცია.

ბრაშოვის ბევრმა საწარმომ აგრეთვე წარმატებით შეასრულა ხუთწლიანი გეგმა.

წარმატებებსა და ხუთწლედის ვადამდე შესრულებას იუწყებიან აგრეთვე ქვეყნის სხვა საწარმოები და კოლექტივები.

აფეთქება წყალქვეშ

ნიუ-იორკი, 21 აგვისტო. (საქდესი). გუშინ საღამოს ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო-საზღვაო ფლოტის მიერ ნიუ-ჯერსის შტატის სანაპიროდან 118 მილზე ჩაძირული გემის „ჰიუზის" ტრიუმებში აფეთქდა 5.000-მდე ტონა რაკეტები. აფეთქება მოხდა იმ დროს როცა გემი დაეჯახა ატლანტის ოკეანის ფსკერს ორ კილომეტრზე მეტ სიღრმეზე.

ამერიკის საინფორმაციო სააგენტოები ყურადღებას უთმობენ იმას, რომ მხოლოდ საზოგადოებრიობის მტკიცე პროტესტებმა აიძულა ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო-საზღვაო ფლოტის სარდლობა უკანასკნელ მომენტში შეეცვალა „გამოუსადეგარი" რაკეტების ჩაძირვის ადგილი. თავდაპირველი გეგმის მიხედვით „ჰიუზი" უნდა ჩაეძირათ 88 მილზე შტატის სანაპიროდან მდოგვისგაზიანი იმ კონტეინერების წყალქვეშა „სასაფლაოს" მახლობლად, რომლებიც პენტაგონმა ჩაძირა ოკეანის ფსკერზე სამი წლის წინათ. სასიკვდილოგაზიანი კონტეინერების დაზიანებას რაკეტების აფეთქების გამო შეიძლება მოეწამლა წყლის უზარმაზარი მასები.

„დიელო" აფრიკაში

დაკარი, 21 აგვისტო. (საქდესი). „[illegible] ქვეყნებში შთაბეჭდილებით და აფრიკის სტუმართმოყვარე მიწა-წყალს ვტოვებთ დარწმუნებული, რომ ჩვენმა გასტროლებმა ხელი შეუწყო კულტურული ურთიერთობის განმტკიცებას სსრ კავშირსა და აფრიკის ქვეყნებს შორის", — განუცხადა საქდესის კორესპონდენტს ვოკალურ-ინსტრუმენტული ანსამბლის „დიელოს" ხელმძღვანელმა რადი ერშოვმა.

დღეს ანსამბლი „დიელო" დაკარიდან სამშობლოში გამოფრინდა ჩრდილოეთ და დასავლეთ აფრიკის 10 ქვეყანაში ოთხი თვის გასტროლების დამთავრების შემდეგ.

ანსამბლის რეპერტუარში შედიოდა საბჭოთა კომპოზიტორებისა და საზღვარგარეთული სიმღერები. ზოგიერთ სიმღერას ადგილობრივ აფრიკულ ენებზე ასრულებდნენ. მაყურებელნი გულთბილად ხვდებოდნენ საბჭოთა ხელოვნების წარმომადგენელთა კონცერტებს. ანსამბლის ხელმძღვანელმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ყველაზე დიდი წარმატება ხვდა კომპოზიტორ ოთარ თევდორაძის სიმღერას ლენინზე.

დასასრულ რ. ერშოვმა თქვა: „მუდამ გვეხსომება გულუხვი მასპინძლობა, რომელიც აქ გაგვიწიეს, გვეხსომება აქაური თავაზიანი და გულთბილი მაყურებელი, რომელსაც ესოდენ კარგად ესმის ხელოვნება".

გაათავისუფლეს შ. ა. დანგე

დელი, 21 აგვისტო. (საქდესი). ინდოეთის უმაღლესი სასამართლოს გადაწყვეტილებით დღეს გაათავისუფლეს ინდოეთის კომპარტიის ეროვნული საბჭოს თავმჯდომარე შ. ა. დანგე, რომელიც 14 აგვისტოს დააპატიმრეს უტარ პრადეშის შტატის ხელისუფლებმა. მთელ რიგ თვალსაჩინო პროგრესულ მოღვაწეებთან ერთად შ. ა. დანგე შტატის დედაქალაქ ლაკნაუში ჩამოვიდა, რათა მონაწილეობა მიეღო მიწისათვის გლეხთა მასობრივ მოძრაობაში.

როგორც ინდოეთის პრესის სააგენტო იუწყება, დანგეს, რომელიც ამჟამად დელიში იმყოფება, აკრძალული აქვს დატოვოს ინდოეთის დედაქალაქი და გამოვიდეს მასობრივ მიტინგებსა და პრესკონფერენციებზე, სანამ ინდოეთის უმაღლესი სასამართლო საბოლოოდ არ გაარჩევს მის საქმეს.

რეზერვები — მოქმედებაში!

ეფექტურობა, გამოცდილება, პრობლემები

სამხრეთ ოსეთის დედაქალაქის მრეწველობის, მშენებლობის, ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის საწარმოთა კოლექტივებმა გულდასმით განიხილეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოსა და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის წერილი „სახალხო მეურნეობაში წარმოების რეზერვების გამოყენების გაუმჯობესებისა და მომჭირნეობის რეჟიმის გაძლიერების შესახებ" და გამოავლინეს რეზერვები, დასახეს მათი გამოყენების გზები.

როცა ყველა ეს რეზერვი განვიხილეთ, დავრწმუნდით, რომ მათი ამოქმედების შედეგად ქალაქის სამრეწველო საწარმოები მიმდინარე წელს გეგმის გადამეტებით გამოუშვებენ 569,9 ათასი მანეთის პროდუქციას, ხოლო პროდუქციის თვითღირებულების შემცირებით მიიღებენ 362 ათასი მანეთის ეკონომიას, დაზოგავენ დიდძალ ფერადსა და შავ ლითონს, საშენ და სამონტაჟო მასალებს, ნედლეულს, სათბობსა და ელექტროენერგიას, რომელთა საერთო ღირებულება 150 ათას მანეთს გადააჭარბებს.

მოწინავე საწარმოები შეუდგნენ არსებული რეზერვების ამოქმედებას და სასურველ შედეგს მიაღწიეს.

მაგალითისათვის ავიღოთ ქარხანა „ვიბრომანქანის" საუკეთესო შემდუღებელი კომუნისტი ა. ტრანკაშვილი. მან წინადადება შეიტანა ელექტროვიბრომანქანების საამორტიზაციო ზამბარების ტორსების მექანიკური გაჩარხვიდან მათი ავტოგენურ დამუშავებაზე გადასვლის შესახებ. ამ წინადადების დანერგვამ ერთიორად და მეტად გაზარდა შრომის ნაყოფიერება ამ ოპერაციის შესრულების დროს და მოგვცა 1.749 მანეთი საერთო ეკონომიური ეფექტი.

ამავე საწარმოს ცენტრალური საქარხნო ლაბორატორიის ინჟინრების ვ. პასტელგას და დ. ვალიშვილის წინადადების დანერგვის შედეგად, რაც მდგომარეობს ვიბრომანქანების კვების ბლოკების ელექტროსქემის შეცვლაში, ერთი წლის განმავლობაში დაზოგილი იქნება 2.400 მანეთის მატერიალური რესურსები. თავისი საწარმოო უბნის ღრმა ცოდნამ შესაძლებლობა მისცა ელექტროტექნიკური საამქროს ოსტატს კომუნისტ ჩ. კაბულოვს გამოეყენებინა წარმოების ნარჩენები და დაეზოგა 3.5 ტონა ფერადი ლითონი.

ქარხანა „ვიბრომანქანაში" მიღებულ ღონისძიებათა დანერგვით მიღებული საერთო ეკონომიური ეფექტი უკვე შეადგენს 11.432 მანეთს, ხოლო მოსალოდნელი ეკონომიური ეფექტი 1970 წლის ბოლომდე იქნება 25 ათასზე მეტი მანეთი. საერთოდ ქარხნის კოლექტივი ჩაება სკკპ XXIV ყრილობის, საბჭოთა საქართველოსა და საქართველოს კომპარტიის 50 წლისთავის აღსანიშნავ შეჯიბრებაში და წარმატებით შეასრულა ნახევარი წლის საგეგმო დავალებანი, რომლებიც 23 პროცენტით აღემატება გასული წლის სათანადო პერიოდის დავალებებს.

მაგალითად, 1970 წლის პირველ ნახევარში ქარხანა „ვიბრომანქანამ" გამოუშვა 1585 ათასი მანეთის პროდუქცია, რაც შეადგენს გასული წლის ამავე პერიოდში ფაქტიურად გამოშვებული პროდუქციის 111 პროცენტს და მიმდინარე წლის გეგმის 102 პროცენტს.

კონკრეტულ ღონისძიებათა დანერგვის შედეგად ცხინვალის ქიმიურმა ქარხანამ გეგმის გადამეტებით გამოუშვა 38,9 ათასი მანეთის 60 ტონა ხელსრესილი საღებავები და 12,3 ათასი მანეთის 14 ტონა ჟანგმიწა ქილებით. მიმდინარე წლის II კვარტალში შრომის ნაყოფიერების ზრდამ შეადგინა 5,9 პროცენტი. სხვანაირად რომ ვთქვათ, ერთ მუშაკზე პროდუქციის გამომუშავება 576 მანეთით გაიზარდა.

ხუთწლედის დამამთავრებელი წლის დავალების ვადამდე განხორციელებისათვის ღონისძიებათა კომპლექსი დასახა ავტობუსშემკეთებელი ქარხნის პარტიულმა ორგანიზაციამ. ეს ღონისძიებანი შეიცავენ მოქმედ სიმძლავრეთა გამოყენების გაუმჯობესებას, საწარმოო ხარჯებისა და სამუშაო დროის დანაკარგების შემცირებას, წარმოების მართვის მეთოდების სრულყოფას, შრომის ნორმირების გაუმჯობესებას. მაგალითად, ქარხნის საერთო კრების დადგენილების განხილვის დროს მექანიკურ საამქროში თერმული უბნის ზეინკალთა ბრიგადამ შეიტანა წინადადება დაეწყო სატვირთო და მსუბუქი ავტომანქანების რესორების ფურცლების დამზადების ათვისება, ვინაიდან ზეთში გამოსაწრთობი არსებული თერმული ღუმელები და აბაზანები მთლიანად არ იყო დატვირთული. წინადადება იმდენად ძვირფასი აღმოჩნდა, რომ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროსათვის ამის შესახებ შეტყობინების შემდეგ ქარხანას დაუყოვნებლივ გამოეყო რესორის ფოლადის ფონდი 120 ტონის რაოდენობით. წინასწარი გაანგარიშება გვიჩვენებს, რომ მიმდინარე წლის ბოლომდე ავტობუსშემკეთებელი ქარხანა შეძლებს თითქმის 100 ათასი მანეთის ზეგეგმითი პროდუქციის მოცემას.

მიმდინარე წლის ივნისში პარტიის საქალაქო კომიტეტმა შეამოწმა წერილის განხილვის შედეგად მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულება ქალაქის სამრეწველო, მშენებლობის, ტრანსპორტის და კავშირგაბმულობის საწარმოებში და აღმოჩნდა, რომ მზა პროდუქციის რეალიზაციის ნახევარი წლის გეგმა ქალაქში შესრულებულია 106 პროცენტით, ხოლო II კვარტალისა — 108 პროცენტით. მარტო მეორე კვარტალში გეგმის გადამეტებით რეალიზებულია 489 ათასი მანეთის პროდუქცია.

ამავე პერიოდში საერთო პროდუქციის გეგმა შესრულებულია 109 პროცენტით ანუ გეგმის გადამეტებით გამოშვებულია 566 ათასი მანეთის პროდუქცია, რაც 9 პროცენტით მეტია გასული წლის შესაბამის პერიოდზე. კარგი მაჩვენებლებია მიღწეული შრომის ნაყოფიერების ზრდის საქმეში.

განვლილ პერიოდში ქალაქის მრეწველობის კოლექტივების ღონისძიებებით გეგმის გადამეტებით გამოშვებულია ემალის სადენი 15 ტონა, გამამდიდრებელი მოწყობილობა 107 ტონა, 6584 კვ. მეტრი პარკეტი, 132 ათასი ცალი აგური, 190 კუბური მეტრი საშენი ბლოკები, 10506 დეკალიტრი ლუდი და 15822 დეკალიტრი ხილის წყლები, შეკეთებულია კაპიტალურად 7 ავტობუსი, გამოშვებულია პურფუნთუშეული და საკონდიტრო ნაკეთობანი 52,6 ტონა და სხვ.

საქართველოს კპ ცხინვალის საქალაქო კომიტეტის პლენუმმა მოისმინა სამხრეთ ოსეთის სამშენებლო სამმართველოს პარტიული ორგანიზაციის 1969 წლის და 1970 წლის პირველი კვარტალის ანგარიში. პლენუმმა აღნიშნა სამშენებლო სამმართველოს პარტიული ორგანიზაციის არადამაკმაყოფილებელი მუშაობა აღნიშნულ პერიოდში და დასახა ღონისძიებანი მისი საქმიანობის გაუმჯობესებისათვის.

ეს ღონისძიებები დაგვეხმარა მუშაობის მაჩვენებლების მნიშვნელოვან ამაღლებაში. მშენებლებმა გეგმები დიდი გადაჭარბებით შეასრულეს ისეთ დიდმნიშვნელოვან ობიექტებზე, როგორიც არის ქარხანა „ემალსადენი", ქარხანა „ემალსადენის" საუწყებო საცხოვრებელი სახლი, № 9 სამკერვალო ფაბრიკის საბავშვო ბაღი. მშენებლები კომუნისტების მეთაურობით ზუსტად ორგანიზებული შრომის კარგ მაგალითებს იძლევიან.

დასახული ღონისძიებების რეალიზაციისათვის გარკვეული მუშაობა გასწია ქალაქის კომკავშირულმა ორგანიზაციამ. წერილის განხილვისადმი მიძღვნილ საქარხნო კომკავშირულ კრებებს 1200-ზე მეტი კომკავშირელი ესწრებოდა, კომკავშირის საქალაქო კომიტეტმა შეაჯამა მიღებულ გადაწყვეტილებათა შედეგები. ყველა ღონისძიებით ამაღლებენ რა შრომის ნაყოფიერებას, თავიანთ კვალიფიკაციასა და მობილიზებულობას, ქალაქის კომკავშირლებმა გადაწყვიტეს ქვეყანას გეგმის გადამეტებით მისცენ 213 ათასი მანეთის პროდუქცია, 140 ათას მანეთზე მეტით შეამცირონ პროდუქციის თვითღირებულება.

მოყვანილი ციფრობრივი მაჩვენებლები, გაცილებით უკეთესი გვექნებოდა, ზოგიერთ ორგანიზაციაში, სამრეწველო საწარმოსა და დაწესებულებაში რომ არ დაეშვათ აჩქარება, ხოლო ზოგიერთ შემთხვევაში წერილის განხილვისადმი მიძღვნილი კრებების მოუმზადებლობა. მაგალითად, თუ კრებების გადაწყვეტილებათა შეჯამება იძლეოდა მიმდინარე წელს გეგმის გადამეტებით პროდუქციის გამოშვების ციფრს 569,9 ათასი მანეთის ოდენობით, უკვე ამა წლის II კვარტალის მუშაობის შედეგების მიხედვით ქალაქში გეგმის გადამეტებით გამოშვებულია 566 ათასი მანეთის პროდუქცია, საიდანაც რეალიზებულია 489 ათასი მანეთი. ეს მოწმობს იმას, რომ ისეთმა საწარმოებმა, როგორიც არის „ემალსადენი", სამკერვალო ფაბრიკა, ხორცკომბინატი, პურის კომბინატი, ქალაქის რძის ქარხანა, ქალაქის სამრეწველო კომბინატი, მექანიკური ქარხანა და სხვები, კრებები ისე ჩაატარეს, რომ საფუძვლიანად არ მოუმზადებიათ.

მაგალითად, ცხინვალის საშენ მასალათა კომბინატის საერთო კრებამ, მიმდინარე წლის 25 მარტს წერილის განხილვის შედეგების გამო რომ მიიღო გადაწყვეტილება გეგმის გადამეტებით გამოეშვა 8 ათასი მანეთის წითელი აგური, სრულებით გამოუშვა მხედველობიდან შრომის ნაყოფიერების გადიდების ისეთი ფაქტორები, როგორიც არის არსებული მექანიზების, მანქანებისა და მოწყობილობის გეგმიან-გამაფრთხილებელი რემონტის წინასწარ დაგეგმილი რემონტის გადაუდებლად და დროულად ჩატარება, მათი უზრუნველყოფა მაქსიმალური დატვირთვით და მოქმედ სიმძლავრეთა სრულად გამოყენება.

პურის კომბინატის პარტიულმა ორგანიზაციამ არ იზრუნა იმისათვის, რომ წერილის განხილვის შემდეგ კრების ღონისძიებებში ასახულიყო წარმოების ეფექტურობის ამაღლების კომპლექსური გეგმები, სრულებით არ იყო გათვალისწინებული წარმოების ორგანიზაციის გაუმჯობესების ღონისძიებანი.

ქალაქის ჯერ კიდევ ყველა სამრეწველო საწარმოში არ ხერხდება გაიშალოს აქტიური მუშაობა წარმოების რეზერვების გამონახვისა და სამეურნეო საქმიანობაში მომჭირნეობის რეჟიმის გაძლიერებისათვის. არსებულ სიმძლავრეთა ათვისებასა და ახალ სიმძლავრეთა ამუშავებაში ძალიან ჩამორჩებიან ქალაქის ისეთი მსხვილი საწარმოები, როგორიც არიან ავტობუსების სარემონტო ქარხანა, ყველ-კარაქის სათავო ქარხანა, სამკერვალო ფაბრიკა № 9, ქარხანა „ემალსადენი" და სხვ.

პარტიის საქალაქო კომიტეტი ყოველთვის დროულად როდი უწევს პარტიულ ორგანიზაციებს სათანადო დახმარებას, ყოველთვის როდი უზრუნველყოფს ჯეროვან კონტროლს წერილის მოთხოვნების განხორციელების საქმეში პარტიული ორგანიზაციებისა და კომუნისტების საქმიანობის სწორად წარმართვისათვის. მაგრამ საქალაქო კომიტეტმა უკვე მიიღო ზომები ნაკლოვანებათა დაძლევისათვის. საქალაქო კომიტეტთან მუშაობს კომისია, რომელიც მთელი რიგი კოლექტივების პარტიული, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების ხელმძღვანელობასთან ერთად ეწევა მათ წინაშე მდგომი ამოცანების კონკრეტიზაციას.

პარტიის საქალაქო კომიტეტი დიდ ყურადღებას აქცევს ახალ სიმძლავრეთა ამუშავებას ყველ-კარაქის სათავო ქარხანაში, ავტობუსების სარემონტო ქარხანაში, № 9 სამკერვალო ფაბრიკაში, ქარხანა „ემალსადენში" და ა. შ.

მაგრამ სამრეწველო საწარმოებისა და ორგანიზაციების, აგრეთვე მშენებარე ობიექტების საჭირო ტექნიკური წყლითა და ელექტროენერგიით უზრუნველყოფასთან დაკავშირებით პარტიის საქალაქო კომიტეტსა და ქალაქის აღმასკომს კიდევ ბევრი ძნელი ამოცანის გადაჭრა მოუხდებათ.

საქმეს ის ართულებს, რომ წყლის არსებული რეზერვუარები 2700 კუბ. მეტრი საერთო მოცულობისა უკვე დიდი ხანია ვეღარ უზრუნველყოფენ არათუ სამრეწველო საწარმოებისა და ორგანიზაციების მოთხოვნილებას წყალზე, არამედ ქალაქის მოსახლეობის დაკმაყოფილებასაც. საჭირო ხდება მანევრირება, სასტიკად განსაზღვრული საათების დაწესება, როცა ქალაქის ესა თუ ის რაიონი იღებს წყალს, და ა. შ. მართალია, ახლა ქალაქისათვის დამატებით შენდება 3000 კუბ. მეტრი მოცულობის რეზერვუარი. მაგრამ გაანგარიშება გვიჩვენებს, რომ შემომდინარე წყლის დებიტი გაცილებით ნაკლებია, ვიდრე მშენებარე რეზერვუარის მოცულობა, და მისი გამოყენება შესაძლებელი იქნება სათადარიგო რეზერვუარად, რაც კვლავ არ მოგვცემს იმის საშუალებას, რომ მთლიანად დავაღწიოთ თავი შექმნილ მდგომარეობას. საჭირო იქნება გამოინახოს ახალი გადაწყვეტა, რაზეც ახლა კიდევაც მუშაობენ სპეციალისტები.

ქალაქის სამხრეთ ნაწილში დაჩქარებული ტემპებით შენდება ახალი საკანალიზაციო ქსელი. რაც მნიშვნელოვნად განტვირთავს ცენტრალურ საკანალიზაციო ქსელს.

მიმდინარე წელს წყდება ქალაქის სამრეწველო საწარმოებისა და ორგანიზაციების მაზუთით მომარაგების საკითხი, რომელიც მათ დიდი ხანია აინტერესებთ.

ამჟამად ქალაქში მუშაობს 250 აგიტატორი, 67 პოლიტინფორმატორი, 189 პროპაგანდისტი, მათგან 89 აგიტატორი, 58 პოლიტინფორმატორი და 50 პროპაგანდისტი — ქალაქის მრეწველობის საწარმოებში. მაგრამ უნდა ითქვას, რომ აგიტატორთა და პოლიტინფორმატორთა შემადგენლობა ხარისხობრივად სასურველია უკეთესი იყოს.

შემდეგში საჭირო იქნება გადავხედოთ მათს შემადგენლობას, განვსაზღვროთ პროგრამა მათი მუშაობისა და საქმიანობისა ამ მიმართულებით. მნიშვნელოვანი მუშაობის გაწევა მოგვიხდება იმისათვის, რომ გავავრცელოთ შჩეკინოს ქიმიური კომბინატის პარტიული კომიტეტის გამოცდილება მშრომელთა კოლექტივის მობილიზაციისათვის წარმოების მოცულობის გასადიდებლად შრომის ნაყოფიერების ზრდის ხარჯზე.

საქართველოს კპ ცხინვალის საქალაქო კომიტეტი კვლავაც განაგრძობს მუშაობას წერილის მოთხოვნათა რეალიზაციის დაჩქარების გზების გამოსანახავად, გაითვალისწინებს დაშვებულ შეცდომებს და შეიმუშავებს უფრო ხანგრძლივი პერიოდისათვის გაანგარიშებულ დამატებით ღონისძიებებს, დააწესებს უსასტიკეს კონტროლს უყაირათობისა და მოდუნებულობის წინააღმდეგ, მინდობილი საქმისათვის თვითეულის პასუხისმგებლობის გრძნობის გაძლიერებისათვის ბრძოლაში დასახულ ღონისძიებათა შესრულებისადმი.

რ. ნიკურაძე.
საქართველოს კპ ცხინვალის საქალაქო კომიტეტის მდივანი.

ტელეტაიპის ლენტიდან

ფაქტები

ზამბიის პრეზიდენტის გადაწყვეტილება

◆ ნიუ-იორკი, 21 აგვისტო. (საქდესი). ზამბიის პრეზიდენტმა კენეტ კაუნდამ გადაწყვიტა არ გაგზავნოს ზამბიის დელეგაცია ერთა თანამეგობრობის ქვეყნების განვითარებისადმი მიძღვნილ კონფერენციაზე, რომელიც ლონდონში უნდა მოეწყოს წელს სექტემბერში. ამას გვატყობინებს ასოშიეიტედ პრესის სააგენტოს კორესპონდენტი ლუსაკიდან.

ცნობაში აღნიშნულია, რომ ეს გადაწყვეტილება მიიღეს ინგლისის მთავრობის იმ განზრახვის გამო, რომ განაახლოს იარაღის მიყიდვა სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკისათვის.

სახელმწიფო კონტროლი

◆ ლიმა, 22 აგვისტო. (საქდესი). პერუს მთავრობამ მთლიანი კონტროლი დაუწესა თევზის ფქვილისა და ქონის მთელ ექსპორტს. ეს ნათქვამია პრეზიდენტის გამოქვეყნებულ დეკრეტში.

ახალი კანონი სერიოზულ ლახვარს სცემს ადგილობრივ და უცხოურ კომპანიებს, რომლებიც ეწეოდნენ თევზის მოპოვებას, გადამუშავებას და გასაღებას და იღებდნენ უდიდეს მოგებას. პერუს პირველი ადგილი უკავია მსოფლიოში თევზჭერის დარგში.

თევზის ნაწარმის ექსპორტზე სახელმწიფო კონტროლის დაწესება, უეჭველია, მნიშვნელოვან როლს შეასრულებს ეროვნული ეკონომიკის განმტკიცებაში.

მემარცხენე ძალების წარმატება

◆ რომი, 22 აგვისტო. (საქდესი). ქალაქ ფანოში (მარკეს ოლქი) მემარცხენე ძალებმა მიაღწიეს წარმატებას ხელისუფლების ადგილობრივი აღმასრულებელი ორგანოდ — ჯუნტის შექმნისას. ჯუნტის შემადგენლობაში შევიდნენ კომუნისტები, სოციალისტები და იტალიის პროლეტარული ერთობის სოციალისტური პარტიის წარმომადგენლები.

ქალაქ ფანოს მერად არჩეულია სოციალისტი ფილიპეტი, ხოლო მის მოადგილედ — კომუნისტი ფერი.

იზრდება დამნაშავეობა იაპონიაში

◆ ტოკიო, 21 აგვისტო. (საქდესი). წლითიწლობით სულ უფრო მწვავდება იაპონიაში დამნაშავეობის პრობლემა. როგორც გაზეთი „მაინიჩი" იუწყება, მარტო ტოკიოში დანაშაულთა რიცხვი ყოველწლიურად 10 ათასით იზრდება.

განსაკუთრებით მკვეთრად იზრდება დამნაშავეობა ახალგაზრდობაში. პოლიციის მთავარი სამმართველოს მონაცემებით, მიმდინარე წლის პირველი ნახევრის მანძილზე ქვეყანაში დააპატიმრეს 14-დან 19 წლამდე ასაკის 53.000-ზე მეტი დამნაშავე.

უიმედო კურსი

◆ ნიუ-იორკი, 21 აგვისტო. (საქდესი). ამერიკის პრესის კრიტიკულ კომენტარებს კვლავ იწვევს ამერიკის შეერთებული შტატების ვიცე-პრეზიდენტის ს. აგნიუს თავდასხმები სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიიდან ამერიკის ჯარების გაყვანის მომხრეებზე. გაზეთი „ნიუსდეი" აღნიშნავს, რომ აგნიუმ მოითხოვა ომის განგრძობა, და წერს, რომ ვიცე-პრეზიდენტი „უფრო პატიოსნად მოიქცეოდა ეღიარებინა, რომ ამერიკის შეერთებულმა შტატებმა უკვე წააგო ომი ვიეტნამში", „ჩვენ ვერ შევცვლით იმას, რაც უნდა დიდხანს ვიბრძოლოთ და დავიხოცოთ იქ", — ხაზგასმით აღნიშნავს გაზეთი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ისინი სამშობლოსათვის იბრძოდნენ

ნაომარი — ჯანმრთელობის სადარაჯოზე

ამ დილით ალერსიანად ხასხასებდა მზე. მხიარულობდნენ ადამიანები. მაგრამ ნათელ ცაზე უცებ მეხი გავარდა და მზე ჩამოაბნელა. შიშისაგან დაიზაფრნენ ადამიანები.

ომი!!! ამ ავადსათქმელმა სიტყვამ ყველას ოჯახში, ყველას გულში დაისადგურა და ცხოვრების კალაპოტიდან გადმოიხეთქა ცრემლმა და მწუხარებამ.

ფრონტზე მდგომარეობა დაიძაბა... ცეცხლის ხაზმა ქვეყნის სიღრმეში გადმოინაცვლა... კავკასიის მისადგომებს [illegible] და საქართველოს განადგურებით დაემუქრა. ნაწრთობი „ედელვაისები“ მარუხისა და სანჭაროს ყინულით ჩამოლესილ აღმართებს კბილებით ჩაეჭიდნენ, ზღვისკენ გზის გაკაფვა მოიწადინეს, და ფსხუს დაეპატრონენ. ეს იყო პირველი ქართული სოფელი, დამპყრობლების მიერ აოხრებულ-აწიოკებული.

— ვერაგი მტერი არწივების საბუდარზე ვერ უნდა გადმოვიდეს, — თქვა ხალხმა და ყველაფერი ფრონტისათვის გაიმეტა.

საბჭოთა ჯარების შენაერთებმა სძლიეს ფაშისტთა ურდოებს, მოსპეს მათი ძირითადი ძალები, ხოლო შეფერთხილ-დანაწევრებული დივიზიები უკუაქციეს. ამ უმაგალითო ბრძოლებში დაეცა ქართველი და მოძმე ხალხთა ბევრი სახელოვანი შვილი. ბევრი დაჭრილ-დაზიანებული მებრძოლი ჰოსპიტლებში ჩამოიყვანეს, იქ, სადაც დღედაღამ არ წყდებოდა სიცოცხლის გადასარჩენად ბრძოლა. სამშობლოსათვის იმ ძნელბედობის ჟამს თეთრხალათიანმა მებრძოლებმა დიდად გამოიჩინეს თავი და სამამულო ომის ისტორიაში ბევრი სახახელო ფურცელიც ჩაწერეს. იყო შემთხვევა, როცა ექიმი სისხლისაგან დაცლილ ჯარისკაცს საოპერაციო მაგიდაზე საკუთარი მარჯვენიდან აძლევდა სისხლს. ისეთი შემთხვევაც ყოფილა, როცა ქირურგი მოახლოებულ მტერს ჯერ ტყვიამფრქვევით ან ავტომატით ებრძოდა, ხოლო მოგერიების შემდეგ თავის პაციენტს უბრუნდებოდა და ტყვია-შრაპნელის წვიმის ქვეშ გადაუდებელ ოპერაციებს აკეთებდა. სწორედ ომის მძიმე დღეებში თეთრხალათიანთა რიგებში ჩადგა რესპუბლიკის დამსახურებული ექიმი — ზაქარია ირაკლის-ძე ზამბახიძე. იგი ევაკოჰოსპიტლის უფროსად ინიშნება და მედიცინის მუშაკთა მძლავრ კოლექტივთან ერთად იწყებს სიცოცხლის გადასარჩენად ბრძოლას.

ჰოსპიტლის მთავარ ექიმს ბევრი თეთრად გათენებული ღამე ახსოვს. ახსოვს გადარჩენილი სიცოცხლის ზეიმი, ფარაჯიანთა ხელის ჩამორთმევა და ცეცხლის ხაზიდან ჯარისკაცური მადლობით გამთბარი სამკუთხა ბარათები.

ფაშისტებმა თავიანთი ბუნაგისაკენ იბრუნეს პირი, მაგრამ ეს ბუნაგი ცეცხლით რომ ამოეწვა, საბჭოთა ჯარი მტერს სულის ამოთქმის საშუალებას არ აძლევდა. ჰოსპიტლებში კი კვლავ მოჰყავდათ დაჭრილ-დაზიანებულები. საოპერაციოებში თითო ქირურგზე ორ-ორი მაგიდა მოდიოდა და დოლბანდით პირაკრული დასტაქრები ლანცეტებს ხელიდან აღარ უშვებდნენ.

ადამიანური ტანჯვისა და გამძლეობის უსასრულოდ გრძელი დღეები ნელა მიედინებოდა. გულს მოწყლილი სევდა ან ოჯახიდან მიღებული ბარათი მთავარ ექიმს ზოგჯერ სინამდვილიდან შორს გაიტაცებდა და ფიქრის გორგალიც ნელნელა ირთვებოდა.

ფიქრის სათავე სიჭაბუკე იყო. მაშინ ფოთში სწავლობდა, შემდეგ დაიწყო სტუდენტობის ნათელი დღეები. ამას ექიმის დიპლომი მოჰყვა. ეს უკვე მომავალი ცხოვრების საგზური იყო, სოფლად მუშაობა თვითონ ისურვა. იქ საჭირო კაცად თვლიდა თავს. არც შემცდარა. მოწოდებით ჭეშმარიტ ექიმს გულით უყვარდა თავისი დიდი საქმე. და მაღალი ზნეობრივი ტრადიციებით ემსახურებოდა ადამიანთა ჯანმრთელობას, მათს სიცოცხლეს. დარში თუ ავდარში პირველი დაძახებისთანავე იქითკენ მიისწრაფოდა, სადაც ავადმყოფი ელოდა. მიდიოდა ფეხით, ცხენით, ეტლით. სნეულისათვის შვება და გამოჯანმრთელების ნათელი რწმენა მიჰქონდა. ამიტომ ავადმყოფებს მუდამ მწედ, იმედად ეგულებოდათ. ასე დაიცვა წლები. ზაქარიამ კი გამოცდილი და გულისხმიერი ექიმის სახელი დატოვა მანგლისში, მაიაკოვსკში, ხაშურში, წყალტუბოში...

ოთხი წელიწადი ისმოდა ომის ქუხილი, ოთხი წელიწადი კვნესოდნენ დაჭრილები და მათი სიცოცხლის გადასარჩენად იბრძოდა ჰოსპიტლის მთავარი ექიმი. ასე განუწყვეტელ შრომასა და სულიერ ტკივილში განვლო მძიმე წლებმა. ექიმის მაღალ შუბლზე ფიქრების, განცდების კვალი დარჩა. ხოლო როცა ავად მოსაგონარ ომს ბერლინში სასიკვდილო ლახვარი ჩასცეს, ზ. ზამბახიძე კვლავ მშვიდობიანი ცხოვრების ფერხულში ჩაება. 1950 წელს იგი თბილისის პირველი ტუბსაავადმყოფოს მთავარ ექიმად გადმოჰყავთ. შრომასა და საქმეს შეჩვეული, აქაც ახალგაზრდული ენერგიით ებრძვის ვერაგ სენს.

ტუბერკულოზი ღრღნიდა ფილტვებს, რომელიც ორგანიზმის ერთ-ერთი მძიმე უბანია. ის ღრღნიდა ძვლებს, სახსრებს, ნაწლავებს და ადამიანს წვეთ-წვეთობით ართმევდა სიცოცხლეს. მაგრამ დღეს ეს ულმობელი სენი დამარცხებულია. ანტიბიოტიკებისა და კომპლექსურ საშუალებათა დროულად, სწორად გამოყენებით ავადმყოფობა უკან იხევს, იწმინდება დაკორძილი ფილტვები, ისარკება დაბინდული გული. გონება და სიცოცხლე ახალ ძალას იძენს. ადამიანი კვლავ დიდი სიცოცხლის კანონიერი წევრი ხდება.

ექვსი წლის მუშაობის შემდეგ ზ. ზამბახიძე მე-2 ტუბდისპანსერის მთავარ ექიმად ინიშნება.

ბორჯომის ქუჩა მწვანეა და მყუდრო. დისპანსერის პალატებში კი ბევრი მზე და ჰაერია. იქ აქვთ კარგად აღჭურვილი კლინიკური ლაბორატორია და რენტგენო-დიაგნოსტიკური კაბინეტები, ხოლო დისპანსერში ბევრი ავადმყოფია. თვითეულს თავისებური ხასიათი, სატკივარი და დარდი აქვს, მათ მიდგომა და მკურნალობაც თავისებური სჭირდებათ. ეს იცის დისპანსერის მთავარმა ექიმმა და იგი ფხიზლად ადევნებს თვალს მათი გამოჯანმრთელების დიდ საქმეს. მას გვერდით უდგანან ავადმყოფთა დღეგრძელობისათვის მებრძოლი ადამიანები, სამედიცინო პერსონალის კვალიფიციური კადრი.

ჯანმრთელობის უანგარო მოდარაჯე და გულისხმიერი მკურნალი ზ. ზამბახიძე თავისი დიდი შრომის სანაცვლოდ ხშირად იღებს მადლობის ბარათებს. ერთი მათგანი ლენინგრადელი ინჟინერ-კონსტრუქტორის პოპოვას წერილია. იგი წერს „თბილისში ვისვენებდი, უცებ მძიმედ გავხდი ავად. სასწრაფო დახმარების მანქანამ მე-2 ტუბდისპანსერში მიმიყვანა. ძალაგამოლეულმა და თავზარდაცემულმა დისპანსერის მთავარ ექიმს — ზაქარია ირაკლის-ძე ზამბახიძეს დახმარება ვთხოვე. ერთი შეხედვით თითქოს მკაცრმა, მაგრამ უსაზღვროდ კეთილმა ადამიანმა შეძლო ჩემი იჭვების გაფანტვა და მოსვლის პირველი წუთებიდან, ვიდრე გავეწერებოდი, იგი ყოველ ღონეს ხმარობდა ჩემი მალე და სრული გამოჯანმრთელებისათვის. ასეთი გულისხმიერი დამოკიდებულების წყალობით მე ფეხზე წამოვდექი და ამჟამად თავს კარგად ვგრძნობ.

პირადად ჩემგან და მთელი ჩემი ოჯახისაგან უღრმესი მადლობა ძვირფას ექიმს. ვუსურვებ მას დიდხანს სიცოცხლეს და შრომაში წარმატებას“.

ექიმისათვის არაფერია ისე სასიქადულო, ვიდრე ადამიანთა ნდობა და სიყვარული. ეს დიდბუნებოვანი და მაღალი ინტელექტის ადამიანი თავისი უანგარო შრომისათვის, სამართლიანობისა და დიდი ადამიანური გულისათვის გულწრფელად უყვართ და აფასებენ თანამშრომლები, მეგობრები და ყველა ისინი, ვისაც საქმიანი ურთიერთობა აქვს მასთან. ამიტომაც მოიპოვა მან მაღალი ავტორიტეტი, მთავრობისა და ხალხის ნდობა.

რესპუბლიკის დამსახურებულ ექიმს ზაქარია ზამბახიძეს მიღებული აქვს საპატიო ნიშნის ორდენი, მედლები, ჯანდაცვის ფრიადოსნის ნიშანი, საპატიო სიგელი და მინიჭებული აქვს პირველი კატეგორიის ექიმის წოდება. ყველაფერი ეს მოპოვებულია დიდი ცოდნით, შრომით და საქმის სიყვარულით.

დღეგრძელობას ვუსურვებთ ადამიანთა ჯანმრთელობის ამ კეთილშობილ გუშაგს.

ლამარა გვაზავა-ხანაძე.

საჩხერეში ამას წინათ დაიდგა დიდ სამამულო ომში დაღუპულ მებრძოლთა ძეგლი. ძეგლის ავტორია პროფესორი თენგიზ ლვინიაშვილი. **სურათზე:** დაღუპულ მებრძოლთა ძეგლი საჩხერეში.

ფოტო ა. მაჭავარიანისა (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

წიგნის თარო

ტრანსპორტის ეკონომიკა

ტრანსპორტი საზოგადოებრივი ცხოვრების აუცილებელი პირობაა. ჩვენი პარტიისა და სახელმწიფოს დამაარსებელი ვ. ი. ლენინი ტრანსპორტს უწოდებდა მთელი ჩვენი ეკონომიკის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს, ერთ-ერთ მთავარ დარგს, სოფელსა და ქალაქს შორის, მრეწველობასა და მიწათმოქმედებას შორის კავშირის მატერიალურ დასაყრდენს, წარმოების საერთო პირობას.

სწორედ ამ უმნიშვნელოვანეს დარგს მიუძღვნა დოცენტმა ალ. კუტუბიძემ თავისი შრომა „ტრანსპორტის ეკონომიკა“, რომელიც გამომცემლობა „განათლებამ“ გამოსცა (რედაქტორი გ. ნიჟარაძე). ეს შრომა, რომელიც საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს მიერ დამტკიცებულია სახელმძღვანელოდ პოლიტექნიკური ინსტიტუტის სატრანსპორტო ფაკულტეტის სტუდენტებისათვის, პირველი ცდაა ტრანსპორტის ეკონომიკის შედარებით სრულყოფილი სახელმძღვანელოს ქართულ ენაზე გამოცემისა. იგი ქართული ეკონომიური ლიტერატურის კარგი შენაძენია. ნაშრომი დაწერილია ტრანსპორტის ეკონომიკის როგორც თეორიის, ისე პრაქტიკის ღრმა ცოდნის საფუძველზე.

ალ. კუტუბიძის წიგნი „ტრანსპორტის ეკონომიკა“ 318 გვერდს შეიცავს და შედგება შესავლისა და 11 თავისაგან. ავტორი დასაწყისშივე მკითხველს აცნობს დარგობრივი ეკონომიკის, კერძოდ, ტრანსპორტის ეკონომიკის სწავლების ამოცანებს, მნიშვნელობას და სამართლიანად დაასკვნის, რომ კომუნისტური საზოგადოების გაშლილი მშენებლობის ეტაპზე სულ უფრო მნიშვნელოვანი ხდება კონკრეტული ეკონომიკის სწავლება, რომ ახლა ტრანსპორტის ეკონომიკის საფუძვლიანი ცოდნა საჭიროა არა მარტო ეკონომისტისათვის, არამედ ყველა იმათთვის, ვინც ტრანსპორტის დარგში მუშაობს და მსახურობს, ვინც თავისი საქმიანობით დაკავშირებულია სატრანსპორტო წარმოებასთან.

წიგნის პირველ თავში გაშუქებულია ტრანსპორტის როლი და ადგილი სახალხო მეურნეობაში. მეორე თავი, რომელიც დათმობილი აქვს კაპიტალისტურ ტრანსპორტს, იძლევა კაპიტალისტური ტრანსპორტის ძირითად თავისებურებათა, აგრეთვე კაპიტალიზმის დროს ტრანსპორტის განვითარების კანონზომიერებათა და რევოლუციამდელი რუსეთის ტრანსპორტის განვითარების ძირითადი ეტაპების დახასიათებას.

ავტორს სახელმძღვანელოს მესამე თავში წარმოდგენილი აქვს სსრ კავშირში ერთიანი სატრანსპორტო სისტემის შექმნის ეკონომიური საფუძვლები და მათ ბაზაზე კონკრეტული მონაცემების მიხედვით დადგენილი და სათანადოდ დახასიათებული აქვს ქვეყნის ერთიან სატრანსპორტო სისტემაში ტრანსპორტის ცალკეულ სახეთა როლი და ადგილი. ავტორი მკითხველს სრულ წარმოდგენას აძლევს სსრ კავშირის ერთიანი სატრანსპორტო სისტემის განვითარების ძირითად ეტაპებზე და მოკლედ ახასიათებს ჩვენი ქვეყნის ტრანსპორტის შემდგომი განვითარების ამოცანებს.

სახელმძღვანელოს მეოთხე და მეხუთე თავები დათმობილი აქვს სოციალისტური ტრანსპორტის დაგეგმვის საკითხებს. ავტორს აქ გაშუქებული აქვს ტრანსპორტის დაგეგმვის არსებითი ნიშნები, ტრანსპორტის გეგმების შინაარსი, დამუშავების წესი, სატრანსპორტო საწარმოთა ტექნიკურ-საწარმოო-საფინანსო გეგმა; ავტორი მოკლედ, მაგრამ გასაგებად აცნობს მკითხველებს სამეურნეო რეფორმის არსს, რომელიც წარმატებით ხორციელდება ტრანსპორტზე, აშუქებს დაგეგმვისა და ეკონომიური სტიმულირების ახალ სისტემაზე გადასული სამეურნეო ერთეულების მუშაობის პირველ შედეგებს და ტრანსპორტზე სამეურნეო რეფორმის განხორციელების უპირატესობას.

როგორც ცნობილია, დაგეგმვისა და ეკონომიური სტიმულირების ახალი სისტემა ითვალისწინებს ეკონომიური ბერკეტების — ფასების, მოგების, სამეურნეო ანგარიშისა და სხვა ფაქტორების უფრო სრულყოფილად გამოყენებას. სწორედ ამ თვალსაზრისით თანამედროვე ეტაპზე დიდი მნიშვნელობა აქვს ტარიფებისა და სატარიფო სისტემის, ტრანსპორტზე სამეურნეო ანგარიშის მექანიზმისა და ფინანსების საფუძვლიანად შესწავლას. ავტორი წიგნის მეცხრე თავში აშუქებს ტარიფების, როგორც ტვირთზიდვის გეგმიანი ფასის ეკონომიურ ბუნებას, ტარიფების ფორმებსა და მათი გამოყენების წესებს, სსრ კავშირის სატარიფო პოლიტიკასა და ტარიფების განსაზღვრის თეორიულ საფუძვლებს. ინტერესით იკითხება წიგნის მეათე თავში ტრანსპორტზე სამეურნეო ანგარიშისა და ფინანსების, საფინანსო გეგმის შედგენის მეთოდიკისა და საფინანსო ორგანოების მუშაობის ამსახველი მასალები.

სახელმძღვანელოს მეთერთმეტე თავში მკითხველი ეცნობა საერთო სარგებლობის შიდასაქალაქო ტრანსპორტსა და მის ტექნიკურ-ეკონომიურ მაჩვენებლებს. ავტორი აშუქებს შიდასაქალაქო ტრანსპორტის ძირითად საკითხებს, განვითარების ტემპებს, ქსელის სიმჭიდროვესა და გამტარუნარიანობას, ქალაქის მოსახლეობის სატრანსპორტო მოძრაობას და მგზავრთა ნაკადის განსაზღვრის მეთოდებს; იძლევა შიდასაქალაქო გზების მართებულ კლასიფიკაციის და საერთო სარგებლობის შიდასაქალაქო ტრანსპორტის დაგეგმვის სრულყოფისათვის პრაქტიკული და თეორიული ხასიათის რეკომენდაციებს.

ალ. კუტუბიძის წიგნს აღნიშნულ დადებით მხარეებთან ერთად აქვს ზოგიერთი ხარვეზიც. მაგალითად, სახელმძღვანელოში დაგეგმვისა და ეკონომიური სტიმულირების ახალი სისტემა ტრანსპორტზე ცალკე თავად არის მოცემული და სხვა თავებში განხილული ძირითადი საკითხებისაგან მოწყვეტილად წარმოგვიდგება. ჩვენი აზრით, აჯობებდა სამეურნეო რეფორმის საკითხები ავტორს სოციალისტური ტრანსპორტის დაგეგმვისა და ეკონომიური სტიმულირების გაშუქებისადმი მიძღვნილ თავებში განეხილა. სარეცენზიო ნაშრომი საერთოდ ყველა სახის ტრანსპორტს მოიცავს, მაგრამ მასში უპირატესად რკინიგზის ტრანსპორტის ეკონომიკის საკითხებია გაშუქებული, ხოლო სხვა სახის ტრანსპორტის ეკონომიკის საკითხები შედარებით მკრთალად არის წარმოდგენილი. წიგნის პირველი თავი და მეცხრე თავის მეხუთე პარაგრაფი არა სახელმძღვანელოს, არამედ უმთავრესად მონოგრაფიული ნარკვევის ენით არის დაწერილი.

უკანასკნელ წლებში „ტრანსპორტის ეკონომიკის“ პროგრამაში გათვალისწინებულია ეკონომიურ კვლევასა და დაგეგმვაში მათემატიკური მეთოდების გამოყენების საკითხების შესწავლა. სარეცენზიო შრომაში საჭირო იყო ცალკე თავები დათმობოდა როგორც ტრანსპორტის ეკონომიურ კვლევასა და დაგეგმვაში მათემატიკური მეთოდების გამოყენებას, ისე ტრანსპორტის გამოთვლით ტექნიკას; წიგნის გამოყენებითი დონე კიდევ უფრო ამაღლდებოდა, რომ ავტორს თავების მიხედვით მიეთითებინა ის ძირითადი ლიტერატურა, რომელიც გამოყენებულ უნდა იქნას როგორც თეორიული საკითხების შესწავლის, ისე ამა თუ იმ თემაზე პრაქტიკული მეცადინეობის ჩატარებისათვის. წიგნში გვხვდება კორექტურული და ორთოგრაფიული ხასიათის შეცდომები.

აღნიშნული შენიშვნები, რომელთა გათვალისწინება სახელმძღვანელოს მეორედ გამოცემის დროს სასურველია, წიგნის საერთო ღირსებას ამ ეტაპზე არ ამცირებს. საერთოდ უნდა ითქვას, რომ გამომცემლობა „განათლებამ“ დოცენტ ალ. კუტუბიძის სახელმძღვანელოს „ტრანსპორტის ეკონომიკის“ გამოცემით უეჭველად კარგი საქმე გააკეთა. იგი დიდ დახმარებას გაუწევს არა მარტო სტუდენტებსა და ამ დარგში მომუშავე პროფესორ-მასწავლებლებს, არამედ ტრანსპორტის ეკონომიკის შესწავლით დაინტერესებულ ყველა მკითხველს.

ლ. ჩიქავა,

თბილისის უცხო ენათა პედაგოგიური ინსტიტუტის პოლიტიკური ეკონომიის კათედრის გამგე, ეკონომიურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი,

გ. კალანდაძე,

საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის დოცენტი, ეკონომიურ მეცნიერებათა კანდიდატი.

„საქართველოს სოფლის მეურნეობა“ № 8

გამოვიდა ყოველთვიური სამეცნიერო-პოპულარული ჟურნალ „საქართველოს სოფლის მეურნეობის“ მორიგი, მერვე ნომერი.

ჟურნალში დაბეჭდილია სტატიები და წერილები: **მოწინავე** — ახალი ზღუდეებისაკენ; მეჩაიეთა დიდი გამარჯვება; **რ. ბზიშვილი** — საკოლმეურნეობათაშორისო გაერთიანების მუშაობის შესახებ; **მ. დალაქიშვილი, გ. ცაგურიშვილი** — მწვანე კონვეიერი სარწყავ მიწებზე; **ლ. შენგელია** — ბრძოლა კანქვეშა ბორასთან; **გ. კუბლაშვილი** — ვიბრძვით მეტი პროდუქციისათვის; **ნ. გოგელაშვილი** — მთაშიც იხარა ჩაიმ; **ლ. ნანეიშვილი** — სუბტროპიკული კულტურების საბჭოთა მეურნეობა „კოლხეთი“; **ხ. თავდიშვილი** — გავადიდოთ შრომის ნაყოფიერება; **ი. რუხიშვილი, ი. ჩიკვილაძე, მ. გოგუაძე** — დავნერგოთ ხეხილის ბაღების წამლობა კახეთში; **ვ. მურადოვი** — რეზერვები წალკის რაიონის მეკარტოფილეობაში; **ლ. ჩხიკვაძე**—ნიადაგის ღრმა გაფხვიერების სიკეთე; **ნ. ნადიბაიძე, ი. გაფრინდაშვილი** — ნიადაგის ტემპერატურა და სასოფლო-სამეურნეო კულტურათა განვითარება; **კ. ელიზბარაშვილი** — შრომის ნაყოფიერება და საკოლმეურნეო წარმოების რენტაბელობა; **გ. ცნობილაძე** — შრომის გარანტირებული ანაზღაურებისათვის; **დ. ხანთაძე** — საკოლმეურნეო პროდუქციაზე ფასწარმოქმნის შესახებ; **ა. ურდულაშვილი** — სასოფლო-სამეურნეო წარმოების სპეციალიზაციის საკითხები; **ნ. ტორონჯაძე** — მეცხოველეობის საკოლმეურნეობათაშორისო ობიექტების რენტაბელობის ამაღლებისათვის; **ა. მახარაძე** — სასოფლო-სამეურნეო საწარმოთა სასაქონლო პროდუქცია და მისი რეალიზაცია; **ვ. მეტრეველი** — ელექტრომობილური ტექნიკის პერსპექტივები; **ვ. დოლიძე, ნ. ჩხაიძე** — ალექვეთით ნიადაგის დამუშავების დროს ჩაის პლანტაციებიდან ნასხლავი მასალის გამოტანა; **ლ. აბულაძე** — ტრანსპორტი და სოფლის მეურნეობის ინტენსიფიკაცია; **ა. გეგეჭკორი** — სიცოცხლის გამახანგრძლივებელი; **ვ. გვეტაძე** — მათ მარჯვენას გამარჯვება!

ჟურნალში გამოქვეყნებულია აგრეთვე ლ. ხატიაშვილის, ნ. ჭანყარაშვილის, ვ. აბესაძის, მ. [illegible] წერილები და სხვა მასალები.

კაფიაობა

მწერალ ვანო ურჯუმელაშვილს, რომელსაც ამ დღეებში დაბადების 50 წელი შეუსრულდა, კარგად იცნობს ქართველი მკითხველი.

ვ. ურჯუმელაშვილის მოთხრობებსა და რომანებში ასახულია ჩვენი თანამედროვე ცხოვრება. ქვემოთ ვაქვეყნებთ მწერლის ერთ-ერთ ახალ დოკუმენტურ მოთხრობას.

მაჩაბლის ქუჩაზე ჩქარი ნაბიჯით მომავალ გოგლას შევასწარი თვალი, შორიდანვე მგრგვინავმა, ომახიანი ხმით დამიძახა:

— ეჰეი, ტეტიათა მოტრფიალევ, ხვალისათვის გაემზადე, სიმონ ჩიქოვანი, ჰუპერტი და მე გორში მივდივართ.

— ამ საღამოთი ვაპირებ წასვლას, სადაც მიბრძანებთ, იქ დაგხვდებით! — მივუგე მე.

— მაშ, თორმეტ საათზე სასტუმრო „ქართლთან“ დაგველოდე. აბა შენ იცი, შენ იცი! — მხარზე ხელი დამკრა და გამომემშვიდობა. ორი ნაბიჯი რომ გადადგა, მობრუნდა და მომძახა: — გაიგონე, რა გითხარი, ტყუილუბრალოდ არ დაიხარჯო, ატენში მივდივართ. დიმიტრი ლოთიშვილთან რთველში ვარ დაპატიჟებული.

მე მაინც თადარიგი დავიჭირე. გულით მეწადა ჩვენს სასიქადულო პოეტებს ღირსეულად გავმასპინძლებოდი...

გორის ციხის ქონგურებში მზით იყო გაჩახჩახებული. ვიწრო ქუჩები ხალხს ვერ იტევდა...

ხალხმრავლობაში ვერც კი გავიგე, როგორ შემოსრიალდა ლენინის ქუჩაზე თბილისიდან მომავალი ყავისფერი „პობედა“. უცებ გოგლას შევასწარი თვალი, ყველასაგან რომ გამოირჩეოდა თავისი გოლიათური ტანით. მის გვერდით ჩიქოვანი და ჰუპერტი იდგნენ.

გორელებმა საპატიო სტუმრები დაინახეს თუ არა, უმალ გარს შემოერტყნენ, საშუალო სკოლის ფანჯრებს ერთბაშად ბავშვები მოაწყდნენ, ზოგს გარეთაც მოესწრო გამოსვლა და ქუჩაზე გადმორბოდნენ. დიდი თუ პატარა, ქალი თუ კაცი სიყვარულით უმზერდნენ პოეზიის ქურუმთ. ბავშვები ერთმანეთს უჩვენებდნენ ეს ლეონიძეა, ეს ჩიქოვანიო, თვალებგაბრწყინებული ქალიშვილები აღტაცებით წარმოთქვამდნენ მათს სახელებს.

— იცოცხლეთ, იდღეგრძელეთ, გორელებო! — ამბობდა გოგლა და აღფრთოვანების გამოსახატავად გადაჭდობილ ხელებს მაღლა იშვერდა.

სიმონს კი უფრო მოკრძალებით ეჭირა თავი, მუდამჟამ მკრთალ და ფიქრიან სახეზე კმაყოფილების ღიმილი დასთამაშებდა, ხალხს თავისდაკვრით ესალმებოდა.

ყელმოღერებული გოგლა ქუჩის აქეთ-იქით იხედებოდა, თითქოს რაღაცას ეძებსო. უცებ მე მომიბრუნდა, თუ არ ვცდები, აქ სადღაც წიგნის მაღაზიააო. ორ ნაბიჯზეა-მეთქი, მივუგე. აბა, მაშ წინ გაგვიძეხიო. სიმონს კი გადაულაპარაკა — შევიაროთ, გავიგოთ, რა იყიდებაო.

ჰუპერტი მანქანაში ჩაჯდა, დღეს იმდენი რამ ვნახე, და გავიგონე, თუ არ ჩავიწერე, დამავიწყდებაო.

მაღაზიაში შესვლისთანავე გოგლა ქართული მხატვრული ლიტერატურის სექციისკენ გაემურა, დახლზე ხელებით დაეყრდნო, ოდნავ დაიხარა და თაროებზე გამოფენილი წიგნები შეათვალიერა.

— ბატონო გიორგი, რა გნებავთ? — შეეკითხა გამყიდველი, უმალ რომ მასთან გაჩნდა.

— ჩემო დაო, რაც მინდა, იმას კი ვერ ვხედავ და?!

— ბრძანეთ, — თქვენთვის ყველაფერს გავაჩენთ!

— რაა, აქაც ნაცნობობაა საჭირო?! — გაიოცა გოგლამ და იკითხა, რუსთაველი თუ გაქვთო.

— არა, რუსთაველი არა გვაქვს! — მიუგო გამყიდველმა.

— გურამიშვილი ან ბესიკი?

— არც ეგენი გვაქვს.

— ბარათაშვილი ან ორბელიანი?

— არა გვაქვს!

— ილია, აკაკი ან ვაჟა?

— არა გვაქვს!

— ტაბიძე ან ჩიქოვანი?

— არა გვაქვს!

და გოგლამ კიდევ რამდენიმე თანამედროვე ქართველი პოეტის ლექსთა კრებული მოიკითხა, მაგრამ მეხსიერებას ვერ ვენდობი და თავს ვიკავებ მათ დასახელებაზე. ეს კი მახსოვს, მაღაზიაში არც მათი წიგნები ჰქონდათ.

— მაშ, იქნებ ლეონიძის წიგნით მაინც გამახაროთ? — თქვა ბოლოს გოგლამ.

— არც თქვენი წიგნი გვაქვს! — მიუგო გულდაწყვეტით გამყიდველმა და, თითქოს მას მიუძღოდა რაიმე ბრალი, თავი იმართლა, ბატონო გიორგი, რა ვქნათ, ქართველ პოეტთა კრებულები უმალ იყიდება. გვაპატიეთ, რომ ვერაფრით მოგემსახურეთ.

— ჰო ხომ, შვილო, პოეტისათვის დიდი ბედნიერებაა, როცა მის ნაფიქრს, ნამღერს, [illegible], [illegible] ლექსს მკითხველი ეწაფება! — მარტო გამყიდველის საყურადღებოდ კი არა, მაღაზიაში მყოფ ადამიანთა გასაგონად რიხითა და ხმის ამაღლებით წარმოთქვა გოგლამ.

გორელებს დავემშვიდობეთ და ატენისკენ გავეშურეთ.

— ამის მერე კიდევ იტყვი, ლექსს მკითხველი შემოეცალაო? — შეეკითხა სიმონს გოგლა.

თურმე გზაში სიმონს ასეთი აზრი გამოუთქვამს. გოგლა კი არ დათანხმებია.

— ვთქვი და ვიმეორებ, ეს საუკუნე პროზის საუკუნეა. ახლა რომანს უფრო ეტანება მკითხველი, ვიდრე ლექსს, — მიუგო სიმონმა.

— შეიძლება სხვაგან ასე იყოს, მაგრამ საქართველოში ეს არ იგრძნობა, — ჩაერია საუბარში ჰუპერტი. — ყველა ერის პოეტს შეშურდება თქვენი ბედი. სადაც არ უნდა გამოჩნდეთ, დიდი თუ პატარა გიცნობთ, მკითხველნი აღტაცებით გეგებებიან, თქვენს ლექსს ხალხი მღერის!

— მართალი ხარ, — დაეთანხმა სიმონი, — მაგრამ გული იმაზე მწყდება, რომ ამ ბოლო დროს ჩვენში საკმაოდ მომრავლდნენ ცხოვრებით განებივრებული ადამიანები, კომფორტისა და ჩაცმა-დახურვის მეტი რომ არაფერი ახსოვთ. მოდასაყოლილი ახალგაზრდები ტუალეტზე უფრო მეტ დროს კარგავენ, ვიდრე წიგნის კითხვაზე, მუსიკური ჯაზი უფრო ხიბლავთ, ალელვებთ, ვიდრე ქართული ლექსი.

— რა კარგად თქვი, — ჩაიბუბუნა გოგლამ. — ამას წინათ წვეულებაზე ერთმა ქალწულმა მომტაცა თვალი. შოლტივით გოგო იყო, წელნაზი, პირვარდი, შაქარტუჩა. ჰეი, ჰეი, სიჭაბუკევ! სიტყვა მოვითხოვე, სუფრის ვარდს ექსპრომტად ლექსი უნდა ვუძღვნა-მეთქი.

თანამოსუფრენი გატრუნული მისმენდნენ. სიყვარულით აღვსილი ჩემი სული პოეზიის გავარვარებულ თონეში იწვოდა. ადრესატი კი, ვითომდა არაფერიაო, მეზობელ ქალიშვილს წინდებზე ებაასებოდა. ბოღმა ყელში მომაწვა და მივახალე, რას ჰგავს ეს, მე სიყვარულისა და სილამაზის ღმერთებს ვუმღერი, შენ კი ამ დროს წინდებზე საუბრობ. იცი თუ არა, არც ერთ ღმერთქალს წინდა არა სცმია-მეთქი.

ქალიშვილმა მედიდურად გადმომხედა, მართალს ბრძანებთ, ბატონო, მაგრამ ალბათ ისიც მოგეხსენებათ, რომ ზოგჯერ ცუდ ლექსს კარგი ქალის წინდა სჯობსო!

— არც ვამტყუნებ! — თქვა სიმონმა. — ჩვენს დროში ისეთი სუსტი, ნაყარნუყარი პოეტები იბეჭდება, რომ ლამის მკითხველს ლექსი შევაჯავროთ. სიჭაბუკე ადამიანს აძლევს პოეტურ აღმაფრენას. ხშირად ხდება, ახალგაზრდა კაცი ერთ-ორ ლექსს დაწერს თუ არა, უმალ გაუჩნდებიან ძმაბიჭები, ქომაგნი, გამდიდებელნი, ხოტბის შემსხმელნი. გაივლის ახალგაზრდობა, ჩაქრება ჭაბუკური აღმაფრენა, დაცხრება ვნებები, მაგრამ არ ცხრება სურვილი ლექსით სახელის მოხვეჭისა, განდიდებისა. რაკიღა ღმერთს მათთვის არც ნიჭი მიუცია, არც რაიმე აქვთ სათქმელი, სწერენ მდარე, ბუნდოვან, გაუგებარ ლექსებს. ქომაგი კრიტიკოსები კი ისევ გუნდრუკს უკმევენ, ანუგეშებენ, მკითხველის ინტელექტური დონე ამაღლდება, მერე გახდება თქვენი ნამღერალი ხელიხელსაგოგმანებიო. ის კი ავიწყდებათ, რომ ლექსი უწინარეს ყოვლისა თანამედროვეთათვის უნდა იყოს ნათელი, გასაგები, ემოციური, სიამოვნების მომნიჭებელი...

ჩვენს წინ ლამაზი ხეობა გადაიშალა. შეყვითლებულ ჭალებში ცელქი ტანა მოჩხრიალებდა. მდინარის გაღმა ფერდობზე შეფენილ ზვრებში ორსართულიან სახლებს სოკოებივით ამოეყოთ თავი. აცელქებულ ნიავს მწიფე ხილისა და ყურძნის სურნელი მოჰქონდა. ბაღ-ვენახებში ყიჟინა იდგა: ვინ ყურძენს კრეფდა, ვინ სიმინდს ჭრიდა, ვინ კაკალს ბერტყავდა.

გზისპირას ლამაზ, ორსართულიან ოდასთან გავჩერდით.

მანქანიდან გადმოსვლაც ვერ მოვასწარით, რომ ეზოდან მასპინძელი გამოგვეგება.

შუახნის კაცი იყო, დიდქოჩორა, ჭაღარაშერეული, ისეთივე ლაღი და უშფოთველი, როგორც ირგვლივ აღმართული მთები, მის მშვიდ თვალებში კი მოკრიალებული ცის სილაჟვარდე გამოკრთოდა.

გოგლა და მასპინძელი გადაეხვივნენ, გადაკოცნეს, მერე მხრებში ხელები ჩაავლეს და ერთმანეთი თუთასავით შეანჯღრიეს.

— გაიცანით! — გვითხრა გოგლამ და მასპინძელს ჩვენი თავიც წარუდგინა.

დიმიტრიმ ხელი რომ ჩამოგვართვა, ჭიშკრის კარი გააღო, მობრძანდით, მობრძანდითო, შოფერს კი გასძახა, მანქანა ეზოში გააჩერეო, და წინ გაგვიძღვა.

თვალი მოგვტაცა დაგვილ-დახუფთავებულმა კარმიდამომ. ჩანთებულ თონეში ალის ბუდი ტრიალებდა. ქალები ცომს აგუნდავებდნენ. ჯისურთან ჩვიდმეტ-თვრამეტი წლის ჭაბუკი, მასპინძლის იერი რომ დაჰკრავდა, ცხვარს შიგნავდა.

სახლის აივანზე წითელლოყება, ხორცსავსე, ათქვირებული ქალიშვილი გამოჩნდა. დაგვინახა თუ არა, კიბე ჩამოირბინა და ჩვენსკენ გამოემართა.

გოგლა ქალიშვილს წინ შეეგება, ხელი ჩამოართვა, შუბლზე აკოცა და ჩვენ წარმოგვიდგინა, გაიცანით, ჩემი ნათლულიაო.

რაკიღა გოგლა ჰუპერტს რუსულად დაელაპარაკა, ქალიშვილს სტუმარი რუსი ეგონა და ამიტომ ხელისჩამორთმევისას უთხრა:

— კატო.

— კატო კი არა, ქეთო, ქეთევან! — შეუსწორა ჰუპერტმა.

ქეთინოს სიმორცხვის ალმა დაჰკრა, აზიდული მკერდი გახშირებული სუნთქვისაგან შესამჩნევად აუთამაშდა.

— დიახ, ქეთევანი, ქეთევან წამებულო! — მოსწრებულად თქვა სიმონმა.

— შვილო, ქეთუა მაინც გეთქვა, ვერ გაიგებდა, — ქართულად უთხრა ნათლულს გოგლამ და მერე რუსულზე გადავიდა, — ეს ავსტრიელი პოეტი ჰუგო ჰუპერტია, „ვეფხისტყაოსნის“ გერმანულად თარგმნა განუზრახავს.

ჰუგო ჰუპერტმა მართლაც „ვეფხისტყაოსანი“ გერმანულად თარგმნა და ბერლინში გამოსცა. ათასი მადლობა მას!

აქვე გვინდა აღვნიშნოთ, რომ ჰუპერტმა ოთხმოცამდე ლექსი დაწერა საქართველოზე და ლექსების ეს ციკლი არაერთხელ დაბეჭდა ბერლინსა და ვენაში. მან გულწრფელად უმღერა ქართველ ხალხს, ჩვენს ისტორიულ ძეგლებს, უშბას, ალაზნის ველს, თბილისს, ქუთაისს, გიორგი ლეონიძის მიბაძვით დაწერა ვრცელი ლექსი „პრომეთეოსი“, ხოლო ჩვენს გამოჩენილ მწერლებს სერგო კლდიაშვილსა და კარლო კალაძეს ბრწყინვალე ლექსები მიუძღვნა.

საქართველოში ვაზის მსხმოიარობით ვინ გაკვირვებულა, მაგრამ დიმიტრის ვენახს ისე უხვად ესხა, განცვიფრებული დავრჩით. ნაყოფის სიმძიმით გადუნული ხარიხებისათვის თრკაპიანი ჯოხები შეედგათ. დამკრახულ მტევნებს უთვალავი მწერი დაზუზუნებდა. ლარივით სწორ მოკრიალებულ კვლებში ერბო აიკრიფებოდა.

ფერადთავსაფრიანი ქალები ყურძენს კრეფდნენ. ბიჭებს სავსე კალათები ვენახის თავში გამოჰქონდათ და გოდრებში ყრიდნენ.

ჩვენც ხელები დავიკაპიწეთ, ვაზს შევერიეთ და ყურძნის კრეფას შევუდექით.

სამხრობისას მასპინძელი შეგვეკითხა, სუფრა სად გავშალოო.

— კაკლის ქვეშ, ჰაერზე! — უთხრა გოგლამ.

— მაშ მაგიდას მაინც გამოვიტან!

— არ გინდა. ხალიჩა გაშალე, გარშემო მუთაქები შემოუწყე, მიყვარს მწვანეზე მამაპაპურად პურის ჭამა.

მუდამ მოფუსფუსე, მოუსვენარი სიმონი ვენახის ბოლოში გასულიყო, მწვანე კომში მოეგლიჯა და გემრიელად შეექცეოდა.

ბატონო სიმონ, ყურძენი მიირთვი, თაფლივით ტკბილია, მკვახე კომშს რა გემოს ატანთ, სხვა რომ არაფერი, კბილებს დაგაჭრით-მეთქი. რა ვქნა, ჩემო ძმაო, მწარე კომში უფრო მსიამოვნებსო, მომიგო სიმონმა, სახეზე რაღაც მწუხარების იერი რომ დაჰკრავდა.

კაკლის ქვეშ გრძელი ლურჯი სუფრა გაიშალა.

გოგლა თავში დაჯდა, ვიცი თამადობა არ ამცდებაო. სუფრის ერთ მხარეს კაცები დავსხედით, მეორე მხარეს — ქალები.

მასპინძელმა შოთი გატეხა, და მოგვმართა, თქვენი ჭირიმეთ, ნამგზავრები ხართ, თანაც გვარიანად იშრომეთ, პური გეშიებათო. მერე ერთი ყანწი სიმონს ესროლა, მეორე თვითონ გაივსო და გოგლას თამადობა მიულოცა.

გვარიანად შრომისა რა მოგახსენოთ, მაგრამ გვარიანად კი შევუდექით ჭამას. რა გინდა სულო და გულო სუფრაზე რომ არ იყო. განსაკუთრებით ტანას ციმორი გვეგემრიელა. ცხელ-ცხელი ჩაქაფულით ხომ გული ვერ ვიჯერეთ. ჰუპერტმა რამდენჯერმე გადაიღო, ასეთი გემრიელი კერძი ჩემს სიცოცხლეში არ მიჭამიაო.

დავლევინანდით. სუფრა უცებ შევიდა ეშხში.

თამადა სადღეგრძელოს სადღეგრძელოზე წარმოთქვამდა, ალავერდს უფრო ხშირად სიმონთან გადადიოდა.

სიმონი ცოტას სვამდა, რა ვქნა, ხანში შევედი, მეტი აღარ შემიძლიაო.

— პოეტები არ ბერდებიან... ისევ ჭაბუკები ვართ, ჭაბუკები! — ამხნევებდა გოგლა.

ქალების სადღეგრძელო თამადამ ფეხზე ადგომით შესვა. ქალის ჩვენი აღმაფრთოვანებელი, შთამაგონებელი, უსიყვარულოდ „ვეფხისტყაოსანი“ არ დაიწერებოდა, სპეტაკცხოვრელი არ აიგებოდა. ვინც ქალს პატივს არა სცემს, ის პატივს არა სცემს საკუთარ დედას, ღვიძლ დას, მეუღლეს, შვილებს. ვინც ქალს უმუხთლებს, ის არც მეგობარს გაიტანს, არც ერს ერთგულებს, არც მამულსაო, და ლექსი მიაყოლა:

„ათასი წლის მანძილიდან
შვილურ ალერსს გაგიბედავ,
საქართველოს დიდ ცხოვრებას
შენა ჰქმნიდი, ტკბილო დედავ.
დიდ ვაჟკაცებს, დიდ ოსტატებს
შენი კაბის კალთა ზრდიდა,
ვინც ეტრატზე წერდა ქართულს,
ვინც ჩუქურთმას ქვაზე ჰრიდა“.

ეჰ, ქალის გულო, ბუნებით კეთილო, შემბრალებელო, მგრძნობიარევ. თუ გაგანათეს, ბროლის ჭაღივით ათასფრად გაბრწყინდები!

გოგლას სიტყვებით აღტაცებული ქალები, თავიანთ სილამაზეს რომ ეკეკლუცებოდნენ, ანთებული თვალებითა და ღიმილით პოეტისადმი უსიტყვო მადლობას გამოთქვამდნენ.

სუფრიდან შებინდებისას წამოვიშალეთ, მასპინძლებს დავემშვიდობეთ და გზაზე გავედით.

წყვილწყვილად დასეირნობდნენ ქალ-ვაჟნი. კოლმეურნეობის კანტორის წინ კაცები შეჯგუფებულიყვნენ. გოგლამ იმათკენ გასწია, მიყვარს სოფელში გავლა და გლეხებთან საუბარში გულის გადაყოლებაო. ჩვენც უკან გავყევით.

მთელი სოფლის ბავშვები უკან გვედევნენ.

გზაზე ჩვენი სახელოვანი ფალავანი ვახტანგ ბალავაძე გადმოგვეყარა. ცნობილ მოჭიდავე არტემ მიხანაშვილთან ყოფილა სტუმრად.

მიხანაშვილმა ოჯახში მიგვიპატიჟა. უარი ვუთხარით, დიდი გზა გვაქვს გასავლელი, შეგვაგვიანდებათქო. ის კი არ გვეშვებოდა, რთველი მაქვს, თქვენისთანა სტუმრებს სახლის კარიდან უპატივცემულოდ ვერ გავუშვებო. ბევრი გვეხვეწა. ბევრი გვემუდარა, მაგრამ ვერ დაგვიყოლია. მაშ, წუთით მაინც შეჩერდით, ხელადით ღვინოს გამოვიტან და თითო ჭიქით ოჯახი მიდღეგრძელეთო.

ცეროდენა ბიჭი გოგლასკენ ხელს იშვერდა და თავის კბილას არწმუნებდა, ეს მაღალი ძია მსოფლიოს ჩემპიონიაო.

— არა, შვილებო, მე საქართველოს ფალავანი ვარ, მსოფლიოს ფალავანი კი აი ეს არის — ვახტანგ ბალავაძე! — გულიანად იცინოდა გოგლა და ბავშვებს მოფერებით კისერში უღიტინებდა.

უცებ მიხანაშვილის ეზოს ჭიშკარი ფართოდ გაიღო, სატვირთო მანქანა გამოგრიალდა და გზა გადაგვიღობა. კაბინიდან მიხანაშვილი გადმოხტა, დოინჯი შემოიყარა და მოგვმართა — სანამ ჭერს არ დამილოცავთ, არ გაგატარებთო, რა ვქნათ, რომ შოფერი ვარ?! მეც მიყვარს ლექსი, მეც მიყვარს ქართული სიტყვა. ჰოდა, რა იქნება, დამდეთ პატივი. თქვენი მობრძანებით ოჯახი გამიბედნიერეთო.

სიმონმა, რაკიღა შეატყო, რომ ადვილად თავს ვერ დავაღწევდით, თან ეტყობა მოეწონა კიდეც მიხანაშვილის სიტყვა, მიუგო, შენ ისეთი, რომ გვითხარი, უარს ვეღარ გაგიბედავთ, ოღონდ მაგიდასთან არ დავსხდებით, ზეზეულად გიდღეგრძელებთ ცოლ-შვილსაო.

— მაშ, მარანში, ქვევრის თავზე! — შესძახა გოგლამ, მასპინძელი წინ წაიმძღვარა და სიმონს წასჩურჩულა, ტყვეობაში ვართ, ცოტა უნდა დავუყვავოთ, თორემ ეს ისეთი ვაჟკაცი ჩანს, ამაღამ არ გაგვიშვებს და სუფრასთან გაგვათენებინებსო.

ჰუპერტი მხრებს იჩეჩდა, სადაც არ ვყოფილვარ, რაღა არ წამიკითხავს, ქართველთა სტუმართმოყვარეობის ამბავიც კარგად ვიცი, მაგრამ ეს კი პირველად გავიგე, რომ მგზავრებს ატყვევებდნენ და ისე უმასპინძლდებოდნენო.

მარანში ყურძენს წურავდნენ. საწნახელიდან ანკარა წყარო მოჩუხჩუხებდა.

ჰუპერტმა ტკბილით პირი დაიგემოვნა, ღვინოს ესა სჯობს. მე სხვას არაფერს დავლევო.

— ერიჰა, ღვინოს სხვა ეშხი აქვს! ტკბილით ერთმანეთსაც ვერ ვადღეგრძელებთ. ოჰ, ოჰ, რა სასიამოვნო, ღვინის სმის ჟინისამშლელი სურნელება ამოვარდა! — ბუბუნებდა გოგლა და ახალმოხდილი ქვევრიდან ამოხაპულ ღვინოს ჭაშნიკს უსინჯავდა.

მასპინძელს ჭერი დავულოცეთ, გამოვემშვიდობეთ და გზას გავუდექით. მანქანა ოღროჩოღრო გზაზე სტუნვით მიდიოდა. მშვიდი ღამე იყო. სიფრიფანა ღრუბლებში მავალი მთვარე ვერცხლისფერ სხივებს დალაქნილ მდინარეში ჰბანდა. მძღოლის გვერდით მჯდომ ჰუპერტს თავი ჩაექინდრა, ახალჩაძინებულივით მშვიდად ხვრინავდა.

გოგლას ფანჯარა გამოეღო, დაკაპიწებულ ხელს გარეთ ჰყოფდა, თან უცნობ, სევდისმომგვრელ ჰანგზე ღიღინებდა:

„შენს სილამაზის იქით ბნელდება,
დაიხურება ცისკრის კარედი,
შენ მოგაყარეს მიწა ბელტებად,
მკერდზე ვარდსაც რომ არ
იყარებდი!

— მუსიკაც ჩემია, ხომ მოგწონთ?! — ღიღინი რომ დაამთავრა, თქვა გოგლამ.

— კარგია, — მიუგო სიმონმა და ცოტა ხნის მერე დაუმატა. — ასეც უნდა, ძველი ბერძენი პოეტები ლექსს რომ თხზავდნენ, თან სასიმღერო ჰანგსაც ქმნიდნენ.

მთები უკან მოვიტოვეთ. გამოვიარეთ.

ხელმარჯვნივ უზარმაზარი ლანდივით აღიმართა გორის ციხე, მთვარის შუქზე თეთრად ჭათქათებდნენ მისი ჭაღარა ქონგურები. არასოდეს ასე მხრებგაშლილი და ცაში ატყორცნილი არ მჩვენებია იგი.

ვინ იცის, იქნებ ჩემს თანამგზავრებსაც ასეთივე ბუმბერაზად წარმოუდგათ გორის ციხე? იქნებ ესეც იყო მიზეზი, რომ გოგლამ დიდი სიამაყის გრძნობით წარმოთქვა ეს სტრიქონები:

„ვინა სთქვა, თითქოს პატარა
იყოს
ჩემი სამშობლო, დიდების ღირსი.
ქართლში ვინ ჰპოვა პატარა
ციხე,
ვინ მოიგონა სიმცირე მისი?“

სიმონმა მაშინვე უპასუხა:

„ურალანებიდან გნოლი აფრინდა,
ყაბარდოს ველი გადაიარა,
ისევ ალვსდექი!
მუხრანის ბოლოს
ჩასაფრებული ვსინჯავ ისრალს...“

მერე ისევ გოგლამ თქვა:

მერცხლები, სწრაფი, მერცხლები
მკვირცხლი
ჰაერში გაშლილ მაკრატლებს
მგვანან,
მერცხლების ფრთები,
მკვირცხლი და ფიცხი
ქართლის ბაღებში იხმენენ
ნანას.

სიმონმა არც ამჯერად დააყოვნა პასუხი:

„შენ ლიახვის კლდეზე დგებოდი,
ძველი მოსასხამით, —
ოლე,
ოლე,
მარტოხელო
დღისითა და ღამით,
შიგნიდანვე გამომწვარო
მარტოობის შხამით.

ვიღაცისაგან გამიგონია, პოეტი ლექსით უნდა იყოს გაბრუებულიო. მე კი დავუმატებდი, ლექსი მკითხველსაც უნდა აბრუებდეს და ათრობდეს.

ვუსმენდი ჩვენი დროის ორი დიდი პოეტის კაფიაობას და გული მიჩქროლებდა, მაბრუებდა მათი გულწრფელი, ნაზი, ფაქიზი, სიყვარულით და ვნებით სავსე სტრიქონები...

მას შემდეგ თხუთმეტმა წელმა განვლო.

აღარც გოგლაა ცოცხალი, აღარც სიმონი, მაგრამ ახლაც ცხადლივ მესმის მათი სულშიჩამწვდომი, რწმენით სავსე, იმედის მომცემი ხმა, და ერთხელ კიდევ ვრწმუნდები, რომ პოეტები არ კვდებიან. ისინი ცოცხლობენ ხალხის გულში, ცოცხლობენ მათივე მკერდიდან ამოხეთქილ სტრიქონებში.

ვანო ურჯუმელაშვილი.

ნ. ა. ნეკრასოვის იუბილე

1971 წელს სრულდება დიდი რუსი პოეტის ნ. ა. ნეკრასოვის დაბადების 150 წლისთავი. ამის გამო შეიქმნა სრულიად საკავშირო საიუბილეო კომიტეტი ა. ა. სურკოვის თავმჯდომარეობით. კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილეები არიან ა. ტ. ტვარდოვსკი, მ. ბ. ხრაპჩენკო, ს. ს. ნაროვჩატოვი.

კომიტეტის შემადგენლობაში შევიდნენ: ვ. გ. აბაშიძე, ა. მ. აბრამოვი, ი. ლ. ანდრონიკოვი, ი. ი. არტობოლევსკი, ვ. გ. აფანასიევი, ნ. პ. ბაჟანი, ვ. გ. ბაზანოვი, ა. ა. ბელიაევი, ვ. ნ. განიჩევი, რ. გ. გამზატოვი, ს. ა. გერასიმოვი, ნ. მ. გრიბაჩოვი, ა. ი. დანილოვი, მ. ა. დუდინი, გ. გ. ემინი, ს. ვ. ვიკულოვი, ვ. მ. ვინოკუროვი, ა. ვ. ვორონკოვი, გ. ა. ისაევი, მ. ვ. ისაკოვსკი, ა. ნ. იაშინი, ზ. მ. კრუგლოვა, დ. ნ. კუგულტინოვი, ნ. ა. კუზნეცოვი, ნ. ვ. ლესიუჩევსკი, ვ. ა. ლუკსი, ა. პ. ლუპანი, ფ. ი. ლოშჩენკოვი, გ. მ. მარტიროსიანი, ი. მ. მარცინკია-ვიჩიუსი, ს. ვ. მიხალკოვი, ნ. კ. ნეკრასოვი, ტ. ნ. ნიკოლაევა, ს. ს. ორლოვი, ვ. ი. ოსეტროვი, ლ. ი. ოშანინი, ბ. ნ. პასტუხოვი, ვ. ფ. პიმენოვი, კ. ფ. პისკუნოვი, კ. ი. პოჟიდაევი, ნ. ა. პონომარიოვი, ნ. ვ. პოპოვა, ა. ი. პუზიკოვი, ა. ა. რაპოხინი, რ. რასულ-რზა, ა. ვ. რომანოვი, ბ. ა. რუჩიოვი, ნ. ტ. სიზოვი, ა. ი. სმირდოვი, ი. ი. სმული, ა. ვ. სოფრონოვი, ო. ო. სულეიმანოვი, ბ. ლ. სუჩკოვი, მაქსიმ ტანკი, ა. ფ. ტარასოვი, ნ. ს. ტიხონოვი, ალი ტოკომბაევი, ლ. ნ. ტოლკუნოვი, ვ. თ. ტოროპოვი, მ. ტურსუნ-ზადე, მუსტაი ქარიმი, ბ. მ. ქერბაბაევი, ნ. ნ. უშაკოვი, ვ. დ. ფედოროვი, ე. ა. ფურცევა, კ. შ. ყულიევი, ა. პ. შაპოშნიკოვა, ა. ბ. ჩაკოვსკი, მ. ი. ცარიოვი, ტ. ნ. ხრენიკოვი. (საგლეხი).

სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის არჩევნები

12 აგვისტოს გაიმართა საბჭოთა კავშირის ვ. ი. ლენინის სახელობის სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის საერთო კრება, რომელმაც აირჩია აკადემიის წევრები და წევრ-კორესპონდენტები.

საბჭოთა კავშირის ვ. ი. ლენინის სახელობის სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრად ჩვენი რესპუბლიკიდან არჩეულია ი. მ. ხოხლოვი—სოფლის მეურნეობის მექანიზაციისა და ელექტროფიკაციის განყოფილება.

საბჭოთა კავშირის ვ. ი. ლენინის სახელობის სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტად საქართველოდან არჩეულია ც. ე. მირცხულავა — ჰიდროტექნიკისა და მელიორაციის განყოფილება.



ბედნიერი ბავშვობა — ასე უწოდა ამ სურათს ფოტომოყვარულმა გ. ჯაყელმა. მართლაც რაოდენ დიდი სიხარული აღბეჭდიათ სახეზე ამ პატარებს, რომლებიც ბებიებს გამოპარვიან და თვალებგაბრწყინებულნი იყურებიან აივნიდან.

საქართველოს მთა-ბარში

მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში

ზესტაფონი. (საკ. კორ.). „ციცქა", „ცოლიკაური", „სვირი" — აი, ქართული სამარკო ღვინოები, რომლებსაც სამტრესტის ზესტაფონის ღვინის ქარხნები უშვებენ.

ზესტაფონიდან ათეულათასობით დეკალიტრი ღვინო იგზავნება საბჭოთა კავშირის ქალაქებში, მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში. ზესტაფონური სამარკო ღვინოები მოსწონთ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, პოლონეთის, ჩეხოსლოვაკიისა და სხვა ქვეყნების მშრომელებს.

მაიაკოვსკი. (საკ. კორ.). სამტრესტის მაიაკოვსკის ქარხნათა სამმართველომ განვლილ შვიდ თვეში გეგმის გადამეტებით გამოუშვა 483 ათასი მანეთის, ხოლო გაასაღა 142 ათასი მანეთის პროდუქცია და 160 ათასი მანეთი ზეგეგმითი მოგება მიიღო.

ქართული ღვინო „სალხინო", რომელსაც საერთაშორისო გამოფენებზე ოქროს ხუთი მედალი აქვს მოპოვებული, მიმდინარე წელს გაიგზავნა მოსკოვში, ლენინგრადში, კისლოვოდსკში და ჩვენი ქვეყნის სხვა ქალაქებში. ამ დღეებში 15 ათასი დეკალიტრი თეთრი პორტვეინი „არგვეთა" გაიგზავნა პოლონეთის სახალხო რესპუბლიკაში.

ცისფერი ალი სოფელში

თიანეთი. (საკ. კორ.). ბევრი ივრისპირელის სახლში აინთო ცისფერი ალი. ახლა რაიონში დადგმულია 2 ათასზე მეტი გაზქურა. გაზიფიკაციის მთავარი სამმართველოს № 3 ტრესტის თიანეთის უბნის კოლექტივმა მიმდინარე წლის ნახევარში მოსახლეობას მიაწოდა 140 ტონა თხევადი გაზი და გეგმა 100 პროცენტით შეასრულა.

ბევრი საქმე აქვთ პროფილაქტიკოს შ. პატურაშვილს, გაზის დამრიგებელ გ. სუხიაშვილს, ავტომძღოლებს ჯ. დანიაშვილს, ე. სუხიაშვილსა და სხვებს. ისინი ცდილობენ არც ერთი აბონენტი უკმაყოფილო არ ჰყავდეთ.

მწყობრშია ახალი წყალსადენი

თერჯოლა. (საკ. კორ.). დამთავრდა ახალი წყალსადენის მშენებლობა. იგი სასმელი წყლით უზრუნველყოფს რაიონის ცენტრს და ახლო მდებარე სოფლებს.

შესრულდა წყალსადენის სათავენაგებობის, სატუმბო სადგურების, ელექტროქვესადგურის, ხუთი კილომეტრი წყალსადენის, ორი ათასი კუბმეტრი მოცულობის რეზერვუარის, ოთხი სატუმბო სადგურის და სხვ. სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოები, რაზეც 230 ათას მანეთზე მეტი დაიხარჯა.

რაიონის ცენტრის მოსახლეობამ და საწარმო-დაწესებულებებმა უკვე მიიღეს ცივი, ანკარა სასმელი წყალი. დაბა თერჯოლა ყოველ წამში იღებს 40-50 ლიტრ წყალს, რაც ათჯერ აღემატება არსებული წყალსადენის სიმძლავრეს.

ა. ნებიერიძე

გარდაიცვალა საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს შრომა-გასწორების სამმართველოს დაწესებულებათა უფროსის მოადგილე, შინაგან საქმეთა სამინისტროს დამსახურებული მუშაკი, სკკპ წევრი 1943 წლიდან, შინაგანი სამსახურის პოლკოვნიკი ანტონ ილიას-ძე ნებიერიძე.

ა. ნებიერიძე დაიბადა 1908 წელს ზესტაფონის რაიონის სოფელ საქარაში. 1926 წელს დაამთავრა თბილისის მეორე შრომის სკოლა. 1939 წლამდე იმყოფებოდა სხვადასხვა სამეურნეო სამუშაოზე, ხოლო 1940 წლიდან 1942 წლამდე მუშაობდა საქართველოს სსრ სახელმწიფო კონტროლის სახალხო კომისარიატის საქმეთა მმართველად.

1942 წლის მაისიდან ა. ნებიერიძე მსახურობდა საბჭოთა არმიაში. შემდეგ 1943 წლიდან 1966 წლამდე მუშაობდა შინაგან საქმეთა სამინისტროსა და უშიშროების ორგანოებში ხელმძღვანელ თანამდებობაზე, ხოლო გარდაცვალებამდე საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს შრომა-გასწორების დაწესებულებების სამმართველოს უფროსის მოადგილედ.

ა. ნებიერიძე იყო გულისხმიერი ამხანაგი, კარგი ორგანიზატორი, მინდობილი საქმის შესრულებისას იჩენდა პასუხისმგებლობის მაღალ გრძნობას და თავის დიდ ჩეკისტურ გამოცდილებას უზიარებდა ახალგაზრდობას. მისი დამსახურება პარტიამ და მთავრობამ აღნიშნეს მრავალი ჯილდოთი.

ა. ნებიერიძის ნათელი ხსოვნა დიდხანს დარჩება მისი მეგობრებისა და ამხანაგების გულში.

საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტრო, პარტიული კომიტეტი.

„კომუნისტის" რეიდი

წარმოებაში ყველაფერი უნდა კრიალებდეს!

სანიმუშო სისუფთავე და წესრიგი დავამყაროთ ფაბრიკებისა და ქარხნების ეზოებში, საამქროებში

რამდენიმე წლის წინათ მთელმა რიგმა საწარმოებმა და დაწესებულებებმა წამოიწყეს პატრიოტული ინიციატივა — გადავაქციოთ თბილისი სანიმუშო სისუფთავისა და საზოგადოებრივი წესრიგის ქალაქად. ამ ბრძოლაში აქტიურად ჩაებნენ დედაქალაქის ფაბრიკა-ქარხნების კოლექტივები. შედეგმაც არ დააყოვნა. ახლა ჩვენს დედაქალაქში სისუფთავე და წესრიგი იგრძნობა. ბუზი თითქმის აღარ არის. მთელმა რიგმა მოწინავე საწარმოებმა ეზოები კეთილმოაწყეს, დასვენებისა და კულტურის პარკებს დაამსგავსეს, საამქროებში სანიმუშო სისუფთავე დაამყარეს. ეს ყველაფერი კარგი და მისასალმებელია.

სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია, რომ ახლა თბილისში შეინიშნება კუჭ-ნაწლავთა მწვავე დაავადებანი. ჩვენს დედაქალაქში დაწყებულია დასუფთავების სანიტარული და საზოგადოებრივი წესრიგის ერთთვიური. ამ საერთო-სახალხო ღონისძიებაში ფართოდ მონაწილეობენ სამრეწველო საწარმოები. მთელი რიგი ფაბრიკა-ქარხნების კოლექტივებმა წესრიგი და სისუფთავე დაამყარეს თავიანთ ტერიტორიებზე, საამქროებში.

19 აგვისტოს დავათვალიერეთ დედაქალაქის მთელი რიგი საწარმოები. ვესტუმრეთ თბილისის რძის კომბინატს. შესასვლელში სადეზინფექციო ხალიჩა გაეშალათ, რომელიც დასველებული იყო სპეციალურ ხსნარში, ზემოდან ქლორი იყო მოყრილი. კართან მდგომმა კაცმა მკაცრად გაგვაფრთხილა:

— ფეხები კარგად გაიწმინდეთ და ისე მობრძანდით საწარმოში.

კარის სახელურზე სპეციალურ ხსნარში დასველებული მარლა იყო დახვეული. შესვლისთანავე მიმსვლელი მიხვდება, რომ ამ საწარმოში დაავადების თავიდან ასაცილებლად საგანგებო ღონისძიებანი გაუტარებიათ.

ვნახეთ კომბინატის დირექტორი ზ. დუჩიძე. სპეციალური ბრძანებით შექმნილია კომისია, რომლის ხელმძღვანელად დანიშნულია თვით დირექტორი. იმავე ბრძანებაში ჩამოყალიბებულია, თუ რა უნდა გაკეთდეს და ვინ უნდა გააკეთოს. დავიარეთ მთელი საამქროები, ტუალეტები, ყველა კორიდორში, შესასვლელებში დაფენილია სადეზინფექციო ხალიჩები, ტუალეტებში არის პირსახოცი და საპონი. მოწყობილია სპეციალური ხელის დასაბანი, რომელშიც ჩასხმულია ქლორიანი წყალი. ტუალეტის შესასვლელში აწყვია რამდენიმე წყვილი კალოში, დგას სპეციალურად გამოყოფილი კაცი, მიმსვლელს აფრთხილებს გაიხადოს ფეხსაცმელი და კალოშით შევიდეს ტუალეტში. კომბინატის ეზოში, სასიარულო ბილიკების ორივე მხარეზე, მოყრილია ქლორი. საამქროებში იდეალური სისუფთავეა. აქ ყველაფერი გაუკეთებიათ იმისათვის, რომ ავი სენი საწარმოს ახლოც ვერ გაეკარება.

იქვე, რძის კომბინატის გვერდით არის № 5 პურის ქარხანა (დირექტორი ი. ნიბლაძე, მთავარი ინჟინერი გ. ზაალიშვილი). ეზოში შესვლისთანავე ყურადღებას იპყრობს ლამაზი ყვავილნარი და ვაზის ხეივანი. ასე ლამაზად მოწყობილ და მრავალფეროვან ყვავილნარს და ვაზის ხეივანს თბილისის ვერცერთ კულტურისა და დასვენების პარკში ვერ შეხვდებით. შიგნით, წარმოებაშიც იდეალური სისუფთავეა, აქაც ყველაფერი გაუკეთებიათ იმისათვის, რომ ქოლერის გამავრცელებელმა ბაქტერიამ ფეხი ვერსად მოიკიდოს. გული გვეტკინა, როცა შევედით ტუალეტში. აქ დეზინფექცია ჩაუტარებიათ, იყო სპეციალური ხსნარი ხელების დასაბანად, საპონი, პირსახოცი, მაგრამ ნიჟარა გაშავებული, დაჟანგული იყო, კედლებზე აქა-იქ ჩამონგრეული იყო ბათქაში. მთავარმა ინჟინერმა გ. ზაალიშვილმა გვითხრა:

— დამნაშავე ვართ, რომ ეს პატარა უსუფთაობა გვაქვს, მაგრამ მშენებლებმა დაგვაღალატეს, ქარხნის რემონტის დროს ზოგიერთი წვრილმანი გაუკეთებელი დატოვეს და წავიდნენ. მოგვეხმარეთ, რომ საქპურკონდიტერის ტრესტის სარემონტო კომბინატმა (დირექტორი ა. ჭყონია) დარჩენილი სამუშაოები მოათავოს. ასეთი წვრილმანი დეფექტებიც კი ჩვენს წარმოებაში დაუშვებელია, ეს მშენებლებმაც კარგად უნდა იცოდნენ.

საგანგებო ღონისძიებები განუხორციელებიათ თბილისის საკონდიტრო ფაბრიკაში (დირექტორი ვ. ებრალიძე), № 7 სამკერვალო ფაბრიკაში (დირექტორი ა. ზულიაშვილი), კიროვის სახელობის ჩარხსაშენებლო ქარხანაში (დირექტორი დ. კიკნაძე, პარტიული კომიტეტის მდივანი გ. კოლეხოვი). ამ უკანასკნელ საწარმოს ტუალეტებში პირსახოცები არ იყო. პარტიული კომიტეტის მდივანმა შეგვატყო, რომ არ გვესიამოვნა. დაგვასწრო და თვითონვე გვითხრა:

— ჩვენს საწარმოში რამდენიმე ათასი კაცი მუშაობს. დაკიდებული პირსახოცით ვერაფერს გავხდით, ბევრი იკარგებოდა, რაც რჩებოდა, ისიც მალე ისე ისვრებოდა, რომ კაცს ზედ ხელის შეხოცვა შეეზარებოდა. ახლა ამ დაავადების დროს ყველას დავურიგეთ პირსახოცები და საპონი. თვითეულს აქვს თავისი პირადი კარადა. ამან კარგი შედეგი მოგვცა. სასადილო კი იდეალურად გვაქვს მოწყობილი. დავაყენეთ ელექტროხელსაშრობები, სასადილოში სანიმუშო სისუფთავე და წესრიგი რომ იყოს, წარმოებიდან მივამაგრეთ 15 კაცი.

პარტიული კომიტეტის მდივნის ნათქვამი დადასტურდა, სასადილოში ყველაფერი წესრიგზე აღმოჩნდა.

თბილისის ხორცკომბინატში (დირექტორი ო. ანანიაშვილი), ყველა ზომა მიღებული ყოველგვარი დაავადების თავიდან ასაცილებლად. დაწესებულია მორიგეობა, საამქროდან საამქროში შესვლაც კი სასტიკად არის აკრძალული.

საქართველოს სსრ დამზადების სამინისტროს № 1 წისქვილ-კომბინატში (დირექტორი ვ. ბებიაშვილი, მთავარი ინჟინერი რ. ბაღიშვილი) პირველად საშხაპე დავათვალიერეთ. სიმართლე უნდა ითქვას — იქ ყველაფერი წესრიგში დაგვხვდა. გასახდელში დგას ინდივიდუალური ლამაზი, სუფთა კარადები, საშხაპეშიც სისუფთავე იყო. კარგი შთაბეჭდილებით გამოვედით იქიდან. სასადილოშიც დაცული იყო სანიტარულ-ჰიგიენური პირობები, აქვთ ცხელი და ცივი წყალი. ქარხნის ეზო მწვანეშია ჩაფლული, ყველგან სისუფთავე იყო, მაგრამ ეზოში საერთო სარგებლობის ონკანის ირგვლივ გუბეები იდგა, დეზინფექციაც არ იყო გაკეთებული.

ვნახეთ ზოგიერთი სხვა წვრილმანი ნაკლიც, მაგრამ ეს გამოწვეულია იმით, რომ კომბინატში მიმდინარეობს კაპიტალური რემონტი და ყველაფრის წესრიგში მოყვანა ვერ მოუსწრიათ.

მაგრამ საქმე ყველგან ასე როდია. სამწუხაროა, რომ ზოგიერთი საწარმოს ხელმძღვანელებს ჯერ კიდევ ვერ გაუგიათ თბილისში კუჭ-ნაწლავის დაავადების დიდი საშიშროება და გულხელდაკრეფილი სხედან და შეჰყურებენ საწარმოში უსუფთაობას. მათ ეს არაფრად მიაჩნიათ, არ აწუხებთ წარმოებისა და ხალხის ბედი,

ცუდი მდგომარეობა აღმოჩნდა საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის № 1 მექანიკურ ქარხანაში (დირექტორი გ. მოისწრაფიშვილი, მთავარი ინჟინერი რ. შაუმიანი). მეორე სართულზე, სადაც ქარხნის მმართველობის აპარატია, ტუალეტში სრული ანტისანიტარიაა, ერთი უნიტაზი ჩამტვრეული იყო, შიგ ეყარა აგურის ნატეხები, ხის ნარჩენები, არც სხვა ნაგავი აკლდა, კედლები დაბინძურებული, არა აქვთ საპონი და პირსახოცი. კიდევ უარესი მდგომარეობა იყო საამქროების ერთადერთ ტუალეტში, კანალიზაციის მილი დაზიანებულია, ონკანიც მომძვრალი, სუფთა და ჭუჭყიანი წყალი ერთად ტუალეტში ღვარივით მიდიოდა, შიგ შესვლა შეუძლებელი იყო. ეს ხდება იმ საწარმოში, სადაც ხელოსნებიც ჰყავთ, სათანადო მასალებიც აქვთ იმისათვის, რომ ყველაფერი წესრიგში ჰქონდეთ, მაგრამ, როგორც ეტყობა, აკლიათ პასუხისმგებლობა, მონდომება, პატივს არა სცემენ ხალხს.

კიდევ უარესი მდგომარეობაა სასადილოში. აქ ანტისანიტარიის ბუდეა. სამზარეულოში, სადაც კერძები იხარშება, უსუფთაო ნიჟარაში ირეცხება ჭურჭელი, იქვე ყრია სადილის ნარჩენები, ლიმონათისა და ლუდის ყუთები. სამზარეულოში ყველაფერი ისეა მოწყობილი, რომ იქ სისუფთავის დაცვა ყოვლად შეუძლებელია. ასეთი კეთილმოუწყობელი სასადილოების მუშაობა შეუწყნარებელია.

პარტიის თბილისის რაიონულმა კომიტეტებმა და რაისაბჭოების აღმასკომებმა საწარმოთა და დაწესებულებათა ხელმძღვანელების თათბირები მოაწყვეს, მაგრამ, როგორც ფაქტები მოწმობენ, ეს არ კმარა. საჭიროა ადგილებზე შევამოწმოთ, ვინ რა გააკეთა სისუფთავის დასაცავად, დაავადების კერების აღსაკვეთად. მკაცრი ზომები უნდა მივიღოთ იმ ხელმძღვანელების მიმართ, რომლებიც ამ საქმეს გულგრილად უყურებენ.

დ. ციციშვილი,
საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სამინისტროს პროდუქციის ხარისხისა და სანიტარული სამსახურის ინსპექციის უფროსი.
ზ. ჯამასპიშვილი,
თ. კინწურაშვილი,
გაზეთ „კომუნისტის" სპეც. კორესპონდენტები.

ადამიანი და ბუნება

◆

მოფრინდა გერმანიიდან

საჩხერე. (საკ. კორ.). მეფრინველეობის ფაბრიკის მუშა ვერა გურასაშვილი სამუშაოზე მიდიოდა. საკოხიის ბოსტანზე გასვლისას მან მდინარის პირას მოფრთხიალე ფრინველი შენიშნა. ბუნებრივია, დაინტერესდა და ფრინველთან მივიდა. ნაპირზე დაჭრილი მიმინო ფრთხიალებდა. მას მარცხენა ფეხი მოტეხილი ჰქონდა, ხოლო მარჯვენა ფეხზე აღმოაჩნდა ლითონის რგოლი წარწერით: „5052905. ფოგელვარტე ჰელგოლანდ (ქართულად — „ფრინველთა სამყარო" — რედ.). გერმანია".

ეს მესამე საინტერესო შემთხვევაა, როცა საჩხერეში უცხოეთიდან მოფრინდა დარგოლილი გარეული ფრინველი.

შემთხვევა

დახრჩობას გადაარჩინეს

მაიაკოვსკი. მდინარე ხანისწყალი როცა ადიდდება, ზოგჯერ ნაპირზეც გადმოდის და წალეკვით ემუქრება ახლო მდებარე მინდვრებსა და ნათესებს. იმ დღესაც აქაფებულ ტალღებს მოაგორებდა. ასეთ დროს სოფელ როკითში ხიდზე გასვლა დააპირა სოფელ ღიმის მცხოვრებმა ა. კარკაძემ, რომელიც სტუმრად ყოფილიყო ნათესავებში. ხიდის მშენებლობა ჯერ კიდევ დამთავრებული არ იყო და ხალხი დროებით, საცალფეხო ბოგირზე დადიოდა. ხიდზე ა. კარკაძეს ფეხი დაუსხლტა და მდინარეში გადავარდა. იგი სწრაფად გაიტაცა ტალღებმა, მაგრამ მდინარეში მაშინვე გადაეშვა ხიდის მშენებლობის მუშა ნიკოლოზ მამისეიშვილი, რომელიც წყალწაღებულს მიჰყვა 250 მეტრზე და სწორედ მაშინ დაეწია, როცა იგი დინებას ღრმა მორევში უნდა ჩაეთრია. გადარჩენილის ამოყვანაზე მას მიეშველა იმავე მშენებლობის მუშა შალვა ნებიერიძე. გონმიხდილ ა. კარკაძეს იქვე პირველი დახმარებაც აღმოუჩინეს.

ზ. გვენეტაძე.

„კომუნისტი" სპორტი

მაღალი შედეგები

მოსკოვის „ლოკომოტივის" სტადიონზე მიმდინარეობს დედაქალაქის პირველობის გათამაშება მძლეოსნობაში. მასში გარდა მოსკოველებისა მონაწილეობენ ჩვენი ქვეყნის უძლიერესი მძლეოსნები.

20 წლის ს. სკრიპკამ 3.000 მეტრი დაბრკოლებებით გაირბინა 8 წუთსა და 47 წამში. ეს ჩვენი ქვეყნის უმაღლესი მიღწევაა იუნიორთა შორის. 21 აგვისტოს ასპარეზობაზე ნაჩვენები იქნა არაერთი მაღალი შედეგი. სსრ კავშირის ჩემპიონმა ბადროს ტყორცნაში ლიუდმილა მურავიოვამ ორჯერ აჩვენა შედეგი — 61 მეტრი. მისი საუკეთესო შედეგი — 61 მეტრი და 32 სანტიმეტრი — მოსკოვის ახალი რეკორდია. ორჯერ ხვდა გამარჯვების კვარცხლბეკზე ტატიანა ვოლკოვა-ტალიშევა, მან გაიმარჯვა 200 მეტრზე თარჯრბენსა (27 წამი) და სიგრძეზე ხტომაში (6 მეტრი და 12 სანტიმეტრი).

სიმაღლეზე ხტომაში ყველას აჯობა ვ. გავრილოვმა. მან დაძლია 2 მეტრი და 19 სანტიმეტრი. ა. ლებედევმა 200 მეტრი გაირბინა 21 წამში. ოლიმპიურმა ჩემპიონმა იანის ლუსისმა შუბი ტყორცნა 80 მეტრსა და 40 სანტიმეტრზე.

მედლები ხუსკვარნის ხალიჩებზე

19 ქვეყნის ჭაბუკმა მოჭიდავეებმა მიიღეს მონაწილეობა შვეციის ქალაქ ხუსკვარნში გამართულ ევროპის ჩემპიონატში. შეჯიბრება საბჭოთა სპორტსმენების გამარჯვებით დამთავრდა. მათ მოიპოვეს სამი ოქროს, ერთი ვერცხლისა და სამი ბრინჯაოს მედალი.

ჩემპიონები გახდნენ — ოლეგ დავიდიანი (გროზნო, უმსუბუქესი წონა), ვიაჩესლავ მკრტიჩევი (ბაქო, ქვესაშუალო წონა) და ლეონიდ ლიბერმანი (მინსკი, ქვემძიმე წონა). მეორე ადგილი ქვემსუბუქი წონის მოჭიდავეთა შორის დაიკავა ტალინელმა ვალერი სპირიდონოვმა, რომელიც გადამწყვეტ ორთაბრძოლაში დამარცხდა შვედ ლ. შელდთან. ბრინჯაოს პრიზიორები გახდნენ — ვლადიმერ ნეჩაევი (მაგადანი), კალიუ პლომპი (ტალინი) და რაფაილ ეივაზოვი (ბაქო).

საბჭოთა კლასიკურმა მოჭიდავეებმა გაიმარჯვეს აგრეთვე გუნდურ ასპარეზობაში — 42 ქულა. მეორე ადგილზე გამოვიდნენ იუგოსლავები — 28 ქულა, მესამეზე — ბულგარელები.

ერთი დღის შესვენების შემდეგ ამავე ქალაქში დაიწყო თავისუფალი სტილით მოჭიდავე იუნიორთა ევროპის ჩემპიონატი.

სასიამოვნო სტარტი ტატაში

უნგრეთის ქალაქ ტატაში სტარტი აიღო ევროპის მეჩვიდმეტე ჩემპიონატმა აკადემიურ ნიჩბოსნობაში. მონაწილეობენ სსრ კავშირის, ბელგიის, უნგრეთის, საფრანგეთის, ჰოლანდიის, ჩეხოსლოვაკიის, იუგოსლავიის, პოლონეთის, რუმინეთის, დანიის, ავსტრიის, შვეციის, ინგლისის, გფრ-ის, გდრ-ისა და ბულგარეთის ნიჩბოსნები.

საბჭოთა სპორტსმენებისათვის სტარტი ჩინებული აღმოჩნდა — პირველ დღეს ხუთივე რბოლაში ისინი პირველნი იყვნენ. ჩვენი ნიჩბოსნები ოთხმოსასმელიანებით (ნოვგოროდის „სპარტაკი"), წყვილმოსასმელი ოთხიანებით (სსრ კავშირის ნაკრები) და რვიანებით (კიევის „დინამო") ფინალში გავიდნენ.

ფინალური ასპარეზობა დღეს გაიმართება.

ტულა ასახელებს ჩემპიონს

წლევანდელი საკავშირო პირველობა ველორბოლაში ტულის ტრეკზე მიმდინარეობს. ჩემპიონის ოქროს მედლის პირველი მფლობელი 3 კილომეტრზე გამოდევნებით რბოლაში გახდა ხარკოველი რაისა ობოდოვსკაია, რომელმაც რევანში აიღო მსოფლიოს ჩემპიონ ტულელ თამარა გარკუშინასთან ამასწინანდელ მსოფლიო პირველობაზე დამარცხებისათვის. თ. გარკუშინა ვერცხლის მედლით დაკმაყოფილდა, ბრინჯაოს მედლისათვის დავა ჰქონდათ ხარკოველ ლ. ზადოროჟნაიასა და მოსკოველ ვ. მარკოვას. წარმატება ხარკოველ სპორტსმენს ხვდა. აღსანიშნავია, რომ ლ. ზადოროჟნაია მეტწილად საგზატკეცილო რბოლაში გამოდის და რამდენიმე წელია ინარჩუნებს ჩემპიონის ტიტულს დაყოფილი სტარტით რბოლაში.

სპრინტერ ვაჟთა ასპარეზობის ნახევარფინალში გავიდნენ ო. ფხაკაძე, ა. აგაპოვი, ა. პოლეტაევი, ვ. ტრიფონოვი.

რა ვნახოთ, რა მოვისმინოთ

ტელევიზია

● **კვირა, 22 აგვისტო**

11.05 — კინონარკვევი, 11.25 — ბავშვებისათვის — მხატვრული ფილმი „ადამიანი ამფიბია", 13.30 — ეზოთა და ქუჩის გუნდების საკავშირო შეჯიბრება „ტყავის ბურთის" პრიზზე (გადმოცემა ჩელიაბინსკიდან), 14.00 — დოკუმენტური ფილმი „დიდი გაფრენა", 15.20 — შექსპირი. „სიყვარულის ამაოება" (გადმოცემა მოსკოვიდან), 17.00 — კინონარკვევი, 17.15 — გადაცემა საბჭოთა არმიის მეომრებისათვის, 18.00 — ფერადი ტელევიზიის პროგრამა — „კინომოგზაურთა კლუბი" (გადმოცემა მოსკოვიდან), 19.00 — „კინოაფიშა", 19.30 — „მუსიკალური ხელოვნების ვარსკვლავები", 20.20 — დოკუმენტური ფილმი — „რომი პომპეა", 20.40 — „მოამბე" — საინფორმაციო პროგრამა, 20.50 — მხატვრული ფილმი — „მდიდარ ქალბატონთან", 22.25 — „საგაზაფხულო მელოდიები".

● **ორშაბათი, 23 აგვისტო**

18.05 — ახალი ამბები (გადმოცემა მოსკოვიდან), 18.15 — განცხადებები, 18.20 — ბავშვებისათვის — „ცეროდენას ეკრანი". ნახატი ფილმი „ნახევარწიწილა", 19.00 — გადაცემა „ჩვენ, საბჭოთა ხელისუფლება" — „პირველი შაბათობა", 19.30 — საქართველოს ფერადი ტელევიზია — „ბუნების კარი"; დოკუმენტური ფილმები „საქართველოს გზებით"; „შესანიშნავი შვიდეული", 21.00 — გადაცემა „იოსებ დავითაშვილი", 21.15 — მხატვრული ფილმი „აფეთქებული ჯოჯოხეთი", 22.50 — „მოამბე" — საინფორმაციო პროგრამა, 23.15 — ა. პუშკინი. „სახლი კოლომნაში" (გადმოცემა მოსკოვიდან), 23.35 — სატელევიზიო ფილმი „დიდი როზი", 24.00 — საქართველოს ხელოვნების ოსტატთა კონცერტი (გადაცემა თბილისიდან ცენტრალური ტელევიზიისათვის).

კინო

23 აგვისტო

ოქტომბერი — განთავისუფლება (I, II სერია); ამირანი (საზამთრო), ისანი (საზამთრო), საქართველო (წითელი დარბაზი), გაზაფხული, სპარტაკი, კოლხიდა (საზამთრო), პლეხანოვის სახელობის კულტურის სახლი (საზამთრო), ჭავჭავაძის სახელობის კულტურის სახლი, თბილისი, სიხარული — მამის მგზავრობა; ფილარმონიის ბაღი, საქართველო (მწვანე დარბაზი), გორკის სახელობის კულტურის სახლი (საზამთრო), ოფიცერთა სახლი — თეთრი აფეთქება; ამირანი (საზაფხულო) — გრაფინია კოსელი (I, II სერია); ბათუმი, ვარძია, გორკის სახელობის კულტურის სახლი (საზაფხულო), საქართველო (საზაფხულო) — ჰაიდუკების შურისგება; ისანი (საზაფხულო), პლეხანოვის სახელობის კულტურის სახლი (საზაფხულო — პური, სიყვარული და ფანტაზია; 26 კომისრის სახელობის (საზაფხულო), კოლმეურნე — მაზანდარანელი ვეფხვი; კოლხიდა (საზაფხულო) — ო, ეს პაპა; თანამგზავრი — ოპერაცია „წმინდა იანუარიუსი"; კომკავშირელი — საიხა (I, II სერია).

რედაქტორის მოადგილე
ბ. თათარიშვილი.

ეკრანის სიახლენი

გამოვიდა ოდესის კინოსტუდიის ნაწარმოები მხატვრული ფილმი „თეთრი აფეთქება". ეკრანებზეა აგრეთვე ახალი ფრანგული ფილმი „მამის მგზავრობა", ხოლო ამერიკული კინოსურათის „ბინის" პრემიერა ორშაბათს შედგება.

„თეთრი აფეთქება"

ოდესელი კინემატოგრაფისტებისათვის ომის თემა ახალი არ არის. „თეთრი აფეთქებაც" ომს ეძღვნება.

... 1942 წელი. საბჭოთა არმია მკერდით აკავებს ჰიტლერელთა იერიშებს.

სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლები მიმდინარეობს კავკასიონის ქედზე. საჭიროა მოსახლეობისა და დაჭრილების ზურგში გახიზვნა. ერთადერთი გასასვლელი კი გერმანელთა დივიზიის „ედელვაისის" მეთვალყურეთა ჯგუფს უჭირავს. ჩვენმა მებრძოლებმა იპოვნეს ძალზე რთული, მაგრამ ერთადერთი გამოსავალი. თუმცა ოპერაციამ არაერთი შესანიშნავი მთამსვლელი ჯარისკაცი შეიწირა...

ფილმის დამდგმელი — რეჟისორია სტანისლავ გოვორუხინი. ქართველი მაყურებლებისათვის „თეთრი აფეთქება" იმითაც იქნება საინტერესო, რომ მასში მონაწილეობენ ქართველი მსახიობები ბუხუტი ზაქარიაძე და ლევან ფილფანი.

„მამის მგზავრობა"

ახალი ფრანგული ფილმი „მამის მგზავრობა" პირველ რიგში იმით არის საინტერესო, რომ მასში შევხვდებით ცნობილ ფრანგ კომიკოსს ფერნანდელს. ეს მსახიობი, მისი როლები ყოველი კინომოყვარულთათვის კარგად არის ცნობილი. ამ ფილმში ფერნანდელი ქმნის მისთვის უჩვეულო — ტრაგიკულ სახეს. ეს კი მოულოდნელი იქნება მაყურებლისათვის, რადგან ძნელია წარმოიდგინო პოპულარული კომიკოსი ტრაგიკულ როლში. ფერნანდელის გმირია ფერმერი კანტენი, რომელსაც უსაზღვროდ უყვარს თავისი საქმე, სოფელი, ცოლშვილი. უფროსი ქალიშვილი მარია-ლუიზა ლიონში მუშაობს პარიკმახერად. კანტენი ჩადის ლიონში, უნდა გაიგოს, სად და როგორ ცხოვრობს მისი ქალიშვილი...

აქ იგი გაიგებს მარია-ლუიზას საეჭვო საქმიანობას...

„მამის მგზავრობაში" შევხვდებით აგრეთვე ფრანგ კინომსახიობს ლილო კარმელს. მას ჩვენი მაყურებელი იცნობს ფილმებით „ცის ქუხილი" და „მონპარნასი-19".

„ბინა"

ამ ახალი ამერიკული ფილმის გმირია დამზღვევი კომპანიის თანამშრომელი ბაქსტერი. ის მარტოხელაა. იცნობენ როგორც კარგ ყმაწვილს. მის თავისუფალ ბინას სასიყვარულო ინტრიგებისათვის იყენებენ უფროსები, სწორედ ამით იწყება ყველაფერი... ფილმის რეჟისორი და პროდიუსერია ბილი უაილდერი. ვნახავთ მსახიობებს ჯეკ ლემონს, შირლი მაკ-ლეინს და სხვებს.

ვ. მარდალეიშვილი.

სურათზე: კადრი ფილმიდან „თეთრი აფეთქება".

კომუნისტი
თბილისი, ლენინის 14, რედაქტორის მოადგილეების — 99-93-63, 99-03-09, პ/მგ. მდივნის — 99-72-80, სამდივნოს — 99-66-10, განყოფილებებისა: პარტიული — 99-87-61, პროპაგანდის — 93-22-93, მრეწველობის — 93-20-34, სოფლის მეურნეობის — 99-52-46, საბჭოთა მშენებლობის — 93-18-70, მეცნიერების, უმაღლესი სასწავლებლებისა და სკოლების — 93-27-58, ლიტერატურისა და ხელოვნების — 98-55-01, ინფორმაციის — 93-16-90, სატირისა და ფელეტონის — 99-60-21, უცხოეთის — 93-95-97, წერილების — 99-73-24, ილუსტრაციის—93-28-54.
ჩვენი მისამართი და ტელეფონები
КОМУНИСТИ ИНДЕКС 66443 უე-05729
საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის ქ. 14.